სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N36 (9180) 30 დეკემბერი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

4
სოციალური სფეროს დაფინანსება გაიზარდა

ძაძუ მოიცაცეს...

2016 წელი უფრო ლიმილიანი რომ იყოს

3

4
გავუფრთხილდეთ, ვინც ჭკვიანურ სიგიჟეს იტყვის!

ადამიანურად გვეცხოვრეს ადამდეგ მიმუნის წელს!

გილოცავთ ახალ წელს... "განვადებით!"

ქეთევან ჭელიძე

მორჩი ახლა მაიმუნობას!

წლების წინ ამ გაზეთით "ნისიად" მოგილოცე ახალი წელი, ძვირფასო მკითხველო! ახლა ცოტა წინ წავედით და "განვადებით" შემიძლია მისი მოლოცვა. არ ვიცი, რომელი შემოგთავაზო: მაღალი, დაბალი თუ ნული პროცენტი. სიმართლე გითხრა, საბანკო საქმის მეც ბევრი არაფერი გამეგება. იქნებ სწრაფი სესხი სჯობს, მით უმეტეს, ჩემგან იგი თქვენთვის უპროცენტოა. რას ვიზამთ, ტენდენციაა ასეთი: განვადება და სესხი, სესხი და განვადება.

არ გეგონოთ, ნისიებზე ვთქვით უარი. პირიქით, ნისიებიც ძალაში რჩება და მისი გადახდისა თუ გადაუხდელობის მეთოდებიც სათანადოდ დავხვეწეთ.

განვადებას მაინც სხვა ხიბლი აქვს: ტელეფონით რომ დაგიმესიჯებენ, მერე ბანკში რომ გარბიხარ საკუთარი თუ სხვებთან მოსესხებული ფულებით, საათობით ხომ დგახარ რიგში ოპერატორთან და... უკვე შვებით სუნთქავ, _ კიდევ ერთი თვით შეგიმცირდა საბანკო ვალდებულება.

მორჩი ახლა მაიმუნობას!

ვიღაცამ თქვა ცხოვრება თეატრიაო, ვიღაცამ _ ცირკიო. მე ცირკს ავირჩევ, რადგან მაიმუნობისთვის საუკეთესო არენა სწორედ იქ არის.

მოკლედ, მაიმუნის წელიღა გვაკლდა და აჰა, ისიც მოვიდა, თანაც წითელი მაიმუნის! რას მოგვიტანს, მაიმუნისას რას გაიგებ. ისე, თუ არ გავეჯიბრებით, იქნებ არ გაგვიბრაზდეს და სასურველი სიურპრიზებითაც აგვავსოს.

რა ჩვენი ბრალია, თუ ასეთი ხასიათი გვაქვს!

თხა ჯერ ისევ გვიბაკუნებს ფეხებს და ცოტა ხანს კიდევ შეუძლია ჩვენს ნერვებზე თამაში. სულ ამ თხის ბრალია, რაც მსოფლიოში ხდება: ომები, ტერაქტები, პოლიტიკური აღმა და დაღმასვლა, ისიც, რუსეთი თურქეთს რომ ურევს და ცხინვალიდან ბალისტიკური რაკეტებით გვემუქრება ჩვენც და სხვასაც; ნავთობის გაძვირება და დოლარის კურსის აწევა, სიღატაკე და ვიღაცის ჯეკპოტით გამდიდრება... _ დიდი ორომტრიალი შექნა.

ახალმა ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის სამ წელზე მეტი უკვე მიითვალა. თხის თუ მართლა უიღბლობის ბრალია, გლობალურმა კრიზისმა თავის მორევში ასე რომ ჩაგვითრია. მეტის მოლოდინმა დეპრესიის დონე ასწია. "დღეს რა ვჭამოთ!" ისევ აქტუალურია, გაუკეთებელს არავის ვპატიობთ, მაგრამ არც გაკეთებულის დანახვა გვინდა. C ჰეპატიტი დავამარცხეთ და ჩვენზე ექსპერიმენტს ატარებენო, გზა დაიგო და უხარისხოა, ჩინეთიდან მატარებელი შემოვიდა და ახლა ნახეთ ჩინელების შემოსევაო...

რა ჩვენი ბრალია, თუ ასეთი ხასიათი გვაქვს! ვიზა-ლიბერალიზაციის შემოღებაზე კი ერთხმად შევთანხმდით, ოღონდ კი სადმე წასასვლელი გვქონდეს!..

2015-ში, გარდა იმისა, რომ რატიფიცირებას საბოლოოდ მივაღწიეთ, საუკუნოვანი ნატვრა აუხდა ქართველს _ ევროპაში შევაბიჯეთ, რა თქმა უნდა, უვიზოდ. ტყუილად არ გარჯილა სულხან-საბა. ილია ჭავჭავაძეც პირველი იყო, სიტყვა "ევროპეიზმი" რომ შემოიღო. ევროპასთან დაახლოების სურვილი ამოძრავებდა თითქმის ყველა დიდ ქართველს, მათ შორის სოლომონ დოდაშვილს, დიმიტრი ყიფიანს, ნიკო ნიკოლაძეს და მისთანებს.

საფრანგეთს შეაფარეს თავი ნოე ჟორდანიამ და სხვა ქართველმა ემიგრანტებმა.

უახლოეს წარსულშიც ბევრჯერ ამხედრდა ქართველი, რკინის ფარდის მიღმა რომ გაეხედა.

ბოლოს "ნაციონალებმა" დაიწყეს და "ქართულმა ოცნებამ" რეალობად აქცია ევროპასთან ინტეგრირების სურვილი.

თავის მხრივ, არც ევროპა დარჩა წაგებული, საზღვრები გაიფართოვა და ჩვენი სტრატეგიული ადგილმდებარეობაც არ დასწვავს პირს.

როგორც იტყვიან ხოლმე, თუ მშვიდობა იქნა, ევროპასთან ერთად ჩვენც კარგად ვიქნებით!

თხის წელმა თავის მიწურულს ერთი, ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად მოსალოდნელი ფაქტის წინაშე დაგვაყენა. სამწლიანი საქმიანობის ანგარიშის ჩაბარების შემდეგ პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი გადადგა. უშველის თუ არა "ახალი სისხლი" ჩვენს ქვეყანას, ამას მალე გავიგებთ, მანამ კი იქ შევიაროთ, რომლის გარეშეც ახალი წლის სუფრა წარმოუდგენელია.

ყველის გამყიდველი

ამ სათაურის ქვეშ მარტო ყველის გამყიდველი არ იგულისხმება. მისი პრობლემები თითქმის საერთოა მათთვის, ვინც ბაზარში დგას და ნებისმიერ რამეს ჰყიდის. ყველაფერი რომ გაძვირდა და მყიდველი ნაკლებად ჰყავთ, სწორედ ამიტომ სწუხან ისინი. მიუხედავად ამისა, დახმარების ხელს მაინც უწვდიან უფულო მთხოვნელებს.

საახალწლოდ უარს ყველზე მაინც ვერ იტყვი. ყველი მაინც ყველია და არც ხაჭაპური ცხვება მის გარეშე, ხაჭაპური კი...

ვის რას ვუხსნი საქართველოში?!

დეკემბრის სუსხი ძვალ-რბილში ატანს. ეგ რა მოსატანია იმ პრობლემებთან, ზამთრობით მუდმივად ხელფეხგათოშილ ყველის გამყიდველს რომ აწუხებს: "ძალიან ცუდ დღეში ვართ. პენსია 9-ჯერ უნდა გადააბრუნო, სესხად რომ აიღო, წამალში არ გვყოფნის. წამალს ცეცხლის ფასი აქვს. რაც სამსახურში აღარ დადის, ჩემს ქმარს ერთი ლარი ვერ შემოაქვს. აქ მთელი დღე ვზივართ, არ შემოდის კლიენტი და ვერ ვვაჭრობთ. "ჩეკი" 4 ლარ-ნახევარი ღირს, რომელიც ივაჭრებ თუ არა, უნდა გადაიხადო.

ვინ მოვა აქ, როცა გარეთ ცალკე ვაჭრობაა გაჩაღებული. გლეხთან იქაური ვაჭრები არ მიგიშვებენ. იძულებული ვართ, ჩვენ მათგან ვიყიდოთ ყველი და მერე 50 თეთრით მეტად გავყიდოთ. რამდენი გამგებელი და დეპუტატი გამოვიცვალეთ და გარევაჭრობის გაუქმებას საშველი არ დაადგა. ალბათ არც დაადგება. კახიანის ტელეფონის ნომერიც არავინ მოგვცა, რომ დავურეკოთ და შევხვდეთ.

ყველი ძალიან ძვირია. თუ ვინმემ წაიღო ნისიად, დაღუპული ხარ, არავინაა მომტანი. რამდენი ნისიაა შერჩენილი, ვინ იცის. არა აქვთ და ვერ მოაქვთ. ყველას ბანკში აქვს სესხი აღებული. გუშინწინ რომ დამირეკეს, ფული შემოიტანეო, ვთხოვე, იქნებ პროცენტი შემიჩეროთ-მეთქი. ძირი ვერ შევიტანე და პროცენტი როგორ გადავიხადო?! არა მაქვს შემოსავალი. მე კი არა, იმხელა ხელფასიანი ხალხი გაკოტრდა. უკიდურეს დღეში ვართ. გუშინ ექვსი ყველი ავიღე და ნახევარი დღესაც ვერ გავყიდე. გვიანამდე ვრჩები აქ და ვუცდი მყიდველს, იქნებ გამოჩნდეს.

სხვანაირი წელი მოდის. ფული არ გვაქვს და როგორ უნდა შევხვდეთ, არ ვიცი. შარშან და შარშანწინ რომ იყო, წელს იმასთან შედარებით უარესობაა. არც იმედი მაქვს და არც ხალისი. რაც 10 ლარით მოიმატა პენსიამ, მაშინვე აიწია ფასმა ყველაფერზე. 70 თეთრი რომ მარილი ეღირება, როგორ უნდა იცხოვრო? პურია, 50 თეთრი ღირს და ვინ იცის, რამდენი გრამია. კვერცხს 30 თეთრად ვიბარებთ და 35 თეთრად ვყიდით. მჭადის ფქვილი 2 ლარი ღირს. ეს დახლები სულ გამყიდველებით იყო სავსე. ყველა თურქეთში წავიდა. მეც სიამოვნებით წავალ, მაგრამ 250 ლარი ვერ ვიშოვე. გზაშიც ხომ მინდა და სახლშიც უნდა დავტოვო რაღაც.

სინდისი

მსოფლიომ იცის იმ მეფეების, პრეზიდენტების, სახელმწიფო მოღვაწეების შესახებ, თავისი ხალხის ბედი რომ გაიზიარეს, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით _ ფუფუნებაზე, ყოველგვარ უპირატესობაზე რომ თქვეს უარი.

დროის ბრალიაო, მაგრამ ძვალსა და რბილში გამჯდარ სინდის-ნამუსს ვერაფერს აკლებს დრო და პირობები.

"იმდენი გაჭირვებული ადამიანია ჩემს ირგვლივ, სინდისი არ მაძლევს საშუალებას, მომატებული ხელფასი სახლში წავიღო". _ პირად საუბარში გვეუბნება იმპიჩმენტს ძლივსგადარჩენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჟავა. მაგრამ საკუთარ მოთხოვნილებებზე წინ მაინც ამომრჩევლის პრობლემებს აყენებს.

ეს არც სენტიმენტალობაა და არც ლირიული გადახვევა რეალური პორტრეტია კაცის, რომელიც უბრალოდ უყვართ და პატივს სცემენ.

რასაც გასწვდებაო, _ დასძენს ბატონი გოგი და შეძლებისდაგვარად ანაწილებს ახლად მომატებულ ხელფასს. ჩვენ კი ადამიანობისა და სიკეთის შესახებ საახალწლოდ უკეთესი რაღა უნდა გვეთქვა!

_ როგორი განწყობით ხვდებით ახალ წელს? _ მე.

_ რა, ახალი წელი მოდის? _ ის. დიახ, მოდის, ჩემო კარგო და უფლება არ გვაქვს, იმედით არ შევეგებოთ. ბევრი რამ გადავიტანეთ და სიძნელეებს ამჯერადაც მოვერევით. შენი აფერადებულ-აციმციმებული ქალაქი შენს გადიმებას ცდილობს. მხოლოდ შენ უნდა აშენო იგი, შენ უნდა შექმნა და სხვამ არავინ. ბევრი რამ კარგი ხდება და ხვალ კიდევ უფრო უკეთესი იქნება ყველაფერი.

მშვიდობა, ბედნიერება, კეთილდღეობა, ხვავი და ბარაქა მოეტანოს 2016-ს!

მრავალ ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

ადამიანურად გვეცხოვროს დამდეგ მაიმუნის წელს!

ლევან გაბეჩავა



კიდევ ერთი წელი გახდა ისტორიის კუთვნილება.

იმედით, სიხარულით ეგებება ოდითგან ქართველი კაცი ახალ წელს და ერთგვარად აანალიზებს, აჯამებს ძველს, უკვე გასულ წელს.

და მაინც რით იყო მნიშვნელოვანი, როგორ შევა ისტორიაში 2015 წელი?

ვისთვის ყბადაღებული, ვისთვის კიდევ ერთობ პრობლემური კითხვა _ როდის ეშველება ლარს? (ეშველება კი?) პრობლემადვე რჩება.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ კი ბევრი თავსატეხი გაუჩინა ერსა და ბერს, ჩინიანს, უჩინოს. უპოვარნი, სოციალურად დაუცველნი და მარტოხელა მოხუცები კი განსაკუთრებით ცუდ ვითარებაში, შეიძლება ითქვას, გაუსაძლის ყოფაში აღმოჩნდნენ.

ვერ ვიტყვით, 2015 წლის განმავლობაში საერთოდ არაფერი გაკეთებულა-თქო, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ როგორც წინა წლებში, საერთოდ, ბოლო 25 წლის მანძილზე, ისე 2015-ში უფრო ბევრი ითქვა მოსაგვარებელ-გასაკეთებელზე, ვიდრე მოგვარდა და გაკეთდა.

უმუშევრობა... არა ერთი და ორი ოჯახის მწარე, დაუმსახურებელი ხვედრია.

ისევ უდიასახლისოდ დარჩენილი ოჯახები, ბავშვები _ უდედოდ, დედები _ შვილების ნატვრაში, ხსნა ისევ თურქეთიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან...

ისევ გაუთავებელი ბრალდებები, დავა პოზიცია-ოპოზიციას შორის, შოუებად, თურქულ ინდურ-კორეულ სერიალებად ამეტყველებული საქართველო...

ასტრონომიული სისწრაფით ავარდნილ-გაზრდილი ფასები წამლებზე, პროდუქტზე.

ისევ... ისევ... და ისევ...

პოზიტიურ ძვრებზე ვთქვით ზემოთ.

დიახ, 2015 წელს საქართველოსათვის რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოში, იმედია, მათ კეთილმყოფელ გავლენას მალე იგრძნობს ჩვეულებრივი, რიგითი ქართველი და არა მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

პოზიტიური პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული განსაკუთრებით 2015 წლის გვიანი შემოდგომა აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩინეთიდან საქართველოში პირველი მატარებელი შემოვიდა _ რეალობა გახდა "დიდი აბრეშუმის გზის" დაწყისი, ამჯერად მატარებელი ენერგეტიკის სექტორისათვის საჭირო ტექნიკით იყო ძირითადად დატვირთული, უეჭველია, მალე სხვა სიკეთეც ხილვადი იქნება "აბრეშუმის გზის" ეგიდით განხორციელებული, ხორცშესხმული.

მთავარი მიღწევა ამ დროს გახლავთ საქართველოსთვის, რეგიონისათვის ესოდენ საჭირო ტვირთის მოკლე ვადებში მიღება ჩინეთიდან, "აბრეშუმის გზის" პროექტში ჩართული სახელმწიფოებიდან, ეს კი, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკურ რეალობას, ხალხის ყოფითი პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

როგორც ვიუწყებოდით, ამიერიდან 18 დეკემბერი საქართველოსთვის ღირსსახსოვარ თარიღთა შორის იქნება.

ამ დღეს გააკეთა ევროკომისიამ ჩვენი ქვეყნისათვის პოზიტიური დასკვნა _ ევროპასთან ვიზალიბერალიზაციას რომ ეხება.

როგორც პოლიტოლოგ-პოლიტიკოსები აანონსებენ, 5-6 თვეა საჭირო საიმისოდ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ევროპის 30 ქვეყანაში შეძლონ უვიზოდ გადაადგილება, რაც მათ არაერთ პრობლემას მოუხსნის.

რაც მთავარია, ევროკომისიის პოზიტიურ დასკვნას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება, ე. ი. ჩვენს აფხაზ, ოს ძმებს შეეძლებათ, თუ საქართველოს მოქალაქის პასპორტს მიიღებენ, უპრობლემოდ ისარგებლონ ამ სიკეთით.

როგორც იტყვიან, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, ალბათ, მალე შევიტყობთ, უფრო სწორად შევიგრძნობ, რას მოგვცემს ევროპა საქართველოსა და ქართველებს, რას მივცემთ ევროპულ ოჯახს ქართველები და საქართველო.

აქ კი, აქ ნამდვილად ეჭვშეუვლად მინდა ვირწმუნო, რომ ევროგლობალიზაცია და მისი დადებითი შედეგი მალე იქნება ხილვადი, საყოველთაო.

რაზე გვწყდება გული, რა სამდურავი გვაქვს ძველ, 2015 წელთან?

ვერ აღვნიშნეთ მშობლიური ქალაქის იუბილე?!

ვერ მოვისმინეთ (ხალხმა) ანგარიში ჩვენს მიერ არჩეული, ნდობაგამოცხადებული, მხარდაჭერილი ადამიანებისგან? ერთი სიტყვით, ვერ ვიდიდგორეთ, ვერ ვითამარეთ, ვერ ვიდავითეთ.

და მაინც, როგორ ვხვდებით ახალ წელს?

ჩემსავე კითხვას თავადვე სხარტულას მსგავსი სტრიქონებით ვუპასუხებ:

"აღარ გუგუნებს ასი ქარხანა,
აღარ შრიალებს მილიონი ხე,
დაპირებებით დაპურებულნი
მაინც იმედით ვხვდებით ახალ წელს!"

საზღვრებმორღვეული მამულის გამთლიანების, სულიერი, ეკონომიკური აღორძინების, კაცთა შორის მშვიდობის, სათნოების, ხვავის, ბარაქის მომტანი იყოს 2016 წელი დედა საქართველოსათვის, პლანეტის ბინადართათვის.

აკვანთა სიმრავლე, ჩვილთა ღუღუნი დაგვებედოს.

სვებედნიერ ქართველთა ომახიანი მრავალჟამიერი ისმოდეს საქართველოს ამერ-იმერში.

ადამიანურდ გვეცხოვროს დამდეგ მაიმუნის წელს!

2016 წელი უფრო ღიმილიანი რომ იყოს

ქეთევან ჭელიძე

ვიდრე ცა ფოიერვერკებით დაიფარება, ვიდრე ახალი წელი სახლში შემოაბიჯებს და იმედად აენთება, წასასვლელად გამზადებული წლის ავ-კარგზე სასაუბროდ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას ვეწვიეთ. ის რაზეც ვისაუბრეთ, ინტერვიუდ შეგკარით და თქვენამდე მოვიტანეთ.

_ ახალი წლის მიჯნაზე როგორ შეაფასებდით განვლილ ერთ წელიწადს, რით იყო განსაკუთრებული 2015 მუნიციპალიტეტისთვის?

_ რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ის, რაც დავგეგმეთ და რისი გაკეთების სურვილიც გვქონდა, ვფიქრობ, რომ შევასრულეთ. საუბარია ინფრასტრუქტურულ და იმ სოციალურ პროექტებზე, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდა.

_ საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც თქვენ ესწრებოდით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას "ნაციონალებმა" იმაზე მიუთითეს, რომ მათ მიერ შექმნილ სოციალურ პროექტებს დღემდე არაფერი მიმატებია.

_ შარშან საგრძნობლად გაიზარდა სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა და წელს კიდევ მეტად დავაფინანსებთ, მუნიციპალიტეტმა, პირველ რიგში, აქცენტი სოციალურ პროგრამებზე გაკეთა. ეს სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია. წლების განმავლობაში უმუშევარი რომ ვიყავი, მეშინოდა, დედაჩემი ავად არ გამხდარიყო, რადგან მისი მკურნალობისთვის ფინანსური საშუალება არ არსებობდა. ახლა სახელმწიფო პროგრამები ავადმყოფს ეხიდება. პარალელურად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამებიდანაც ხდება სამკურნალო დანახარჯების შევსება. ეს არის ჩვენი განსხვავებული მიდგომა, რასაც წინა ხელისუფლების დროს ადგილი არ ჰქონია.

მეორე ის ინფრასტრუქტურული პროექტებია, რომლებიც წელს განხორციელდა. განსაკუთრებით გამოვყოფდი გაღმა ზონის წყლით მომარაგების საკითხს. 650 ათასი ლარის სამუშაოები შევასრულეთ. სისტემის მთლიანად მოწესრიგებას 10 მილიონი ლარი სჭირდება. გახსოვთ, ალბათ, წყლით მოწამვლის ფაქტები. კოროზიული მილები იქ მთლიანად ახლით შევცვალეთ.

იცით, რომ ქალაქი ყოველი გაწვიმების დროს იტბორებოდა. ეს არ არის ჩვენი ხელისუფლების ბრალი. პრობლემები, რომელიც ათეული წლების განმავლობაში არსებობდა, დაგროვდა და სწორედ ახლა იჩინა თავი. ზოგიერთი ამბობს, ვალერი ფოცხვერიამ მოიტანა წყალდიდობა ქალაქშიო. სამუშაოები, რაც ამჯერად სანიაღვრე არხების გასაწმენდად ქალაქის ტერიტორიაზე და გნებავთ, სოფლებში შესრულდა, წლებია, არ ჩატარებულა. თუკი პრობლემა კიდევ იჩენს თავს, მუშაობას აუცილებლად გავაგრძელებთ.

მარტო გზების მოასფალტება არ წარმოადგენდა ჩვენი ინტერესის საგანს. თუმცა იცით, რომ კულაშის მიმართულებით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, გაკეთდა გზა.

გაზიფიცირების თვალსაზრისით პრობლემები იყო გაღმა ზონაში. იქ ძირითადი მაგისტრალური მილი უკვე გაყვანილია და ამჯერად მოსახლეობაში შეჰყავთ ინტენსიურად ბუნებრივი აირი.

_ კულაშის გზასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. მოსახლეობამ მშენებლებს მუშაობა დაუწუნა საკანალიზაციო ჭების გამო დაგებული ასფალტი რომ აჰყარეს...

_ ჯერ არ არის ის გზა დასრულებული, იქ ასფალტის ორი ფენა უნდა გადაეგოს. ვიცი, იტყოდნენ, ჯერ გზა დააგეს და მერე კანალიზაციას მიუბრუნდნენო. მშენებლები წესისამებრ მუშაობენ და ამგვარ შეკითხვას დილეტანტურად თვლიან.

_ წლების განმავლობაში ვსაუბრობთ ქალაქის საკანალიზაციო სისტემების ავარიულობაზე. ის საფრთხეს წარმოადგენს სამტრედიისთვის და პრობლემებს მეტ-ნაკლებად ყოველთვის ქმნის. ვიცით, რომ მისი მთლიანი შეცვლა სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. რამდენად მოგვარებადია ეს საკითხი უახლოეს მომავალში?

_ ამ მხრივ სამტრედია ბომბზე ზის. ყოველთვის იყო ინტერესის საგანი, საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგებულიყო, მაგრამ 10 მილიონი ლარი ჯდება და ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მისი მოძიება. ვერც წინასაარჩევნოდ დავპირდებით მოსახლეობას, რომ ამ პრობლემას მოვაგვარებთ. ჩვენ არ დავპირდებით იმას, რისი შესრულებაც არ შეგვიძლია. იმ საკრებულოზე, რომელიც თქვენ ახსენეთ, ითქვა, რომ თურმე საარჩევნოდ ხელფასების მატებასთან დაკავშირებით დაპირებები გამიცია. ჟურნალისტი ბრძანდებით, შეგიძლიათ მოიძიოთ, სად ვთქვი ეს, მეც ძალიან მაინტერესებს.

ყველასთვის მნიშვნელოვანია, თუ ხელფასი მოიმატებს. ჩემგან რა მიდის, ნეტავ შემეძლოს ამის გაკეთება, მათ შორის თქვენთვისაც. არავის თქვენი გაზეთი ნაკლებად არ უყვარს. არასდროს გამოვალ კიდევ პოპულისტური განცხადებებით, რომ ტელევიზიას უნდა მოვუმატო დაფინანსება. არის ხალხის კატეგორია, რომელიც მეუბნება, ტელევიზია არის ყურებადი და მეტი თანხა მივცე, ზოგი ამბობს, რომ გაზეთი ამდენი წლის ისტორიის მქონეა და უნდა დავეხმაროთ. მე ორივეს მინდა, გვერდით დავუდგე.

მთავარი ჩემთვის მაინც სოციალურ სფეროებზე ზრუნვაა და არა მარტო ჩემთვის, ეს სახელმწიფოს კატეგორიული მოთხოვნაა.

_ პარალელურად, ალბათ, სოციალური სააგენტოს მუშაობაზეც შეიძლება ვისაუბროთ. უკმაყოფილო ადამიანები, რომელთაც დახმარება მოუხსნეს, რედაქციასაც აკითხავენ.

_ სოციალური სააგენტოს მუშაობით ვარ უკმაყოფილო. ეს მინდა, პირდაპირ დააფიქსიროთ. ისინი ხელს სამინისტროსკენ იშვერენ და მიზეზად ახალი რეგულაციები მოაქვთ. ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ საბოტაჟს გვიწყობენ.

ისეთ ხალხს აქვს მოხსნილი დახმარება, ძალიან გაოცებული ვარ. ამის თაობაზე ათასჯერ მივმართეთ ადგილობრივსაც და ცენტრალურსაც. პასუხი ერთი და იგივეა: ფორმულა არის ისეთი, რომელიც ამას ასე საზღვრავს.

მოსახლეობა თვითონ აგენტების მუშაობით არის უკმაყოფილო. უხეშად გვექცევიანო, ამბობენ. როგორც ჩანს, არა აქვთ ის უნარ-ჩვევები, რითაც მოსახლეობას აუხსნიან ყველაფერს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ამ სამსახურის მუშაობით ხალხი არ იყოს უკმაყოფილო.

_ რა შეგიძლიათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

_ ეს ორგანიზაცია, მოგეხსენებათ, ჩვენს დაქვემდებარებაში არ არის. ახალი წლიდან ჯანმრთელობის სამინისტროსგან მოვითხოვოთ ახალ მონიტორინგს, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი. ჩვენ არ ვენდობით ამ სამსახურს.

_ თქვენი აზრით, რატომ დატოვა პოსტი ირაკლი ღარიბაშვილმა? ამასთან დაკავშირებით ხომ არ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?

_ განცხადება წასვლის თაობაზე თვითონ გააკეთა და არაფრის თქმა შემიძლია. ბატონი ირაკლის მუშაობას მე პირადად დადებითად ვაფასებ. საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა მასთან. მონდომებული ახალგაზრდა კაცია.

_ რა გეგმები გაქვთ 2016-ში?

_ გეგმები გრანდიოზული მაქვს. პირველ რიგში, სოციალურ საკითხებს ვერ ავცდებით. მინდა, სამტრედია სპორტულ ქალაქად იქცეს. პროგრამაზე კარგა ხანია ვმუშაობთ. მთავრობას წარვუდგენთ და ვნახოთ, თუ დაგვაფინანსებენ.

მოგეხსენებათ, სამტრედია რკინიგზელთა ქალაქი იყო და აქ შესაბამისი ინფრასტრუქტურაც არსებობდა. დღეს მან ეს ფუნქცია დაჰკარგა. თუ ჩვენს პროექტს მოიწონებენ, სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის ბაზები შეიქმნება და ინფრასტრუქტურაც განვითარდება. სპორტის ბევრ სახეობაში გვაქვს წარმატებები. ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, კარატე და სხვა სახეობებით საქართველოს მასშტაბით ძლიერ პოზიციაზე ვდგავართ. სამტრედია გამორჩეული იყო თავისი ეკონომიკური მდგომარეობით და მინდა, დღესაც ასე იყოს.

კახი კალაძესთანაც მქონდა სპორტულ ქალაქთან დაკავშირებით საუბარი. ეს ჩემი იდეაა. პროგრამა საკმაოდ ძვირადღირებულია და მისი განხორციელებისათვის ერთი და ორი წელი არ იქნება საკმარისი. სამომავლოდ ჩვენთან სპორტის სასახლის მშენებლობაც არის გათვალისწინებული.

_ თქვენ ახსენეთ, რომ სამტრედია გამორჩეული იყო თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით. არიან ადამიანები, რომელთაც სწამთ, თუკი მათ მიერ შეთავაზებული წინადადებების რეალიზება მოხდება, სამტრედია დაიბრუნებს თავის მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით არაერთი წერილი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლებიდან არავინ გამოხმაურებია. რამდენად ცნობილია ამის შესახებ თქვენთვის და რა შეგიძლიათ უთხრათ წერილის ავტორებს?

_ როცა სპორტის განვითარებაზე ვსაუბრობთ, თავისთავად ეს სამტრედიის ეკონომიკურ განვითარებასაც ითვალისწინებს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მე ვიცი ამის შესახებ და ვიცნობ ამ წერილების ავტორებსაც. ნუ ეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ ახლა სხვა რეგულაციებია. კომუნისტური პერიოდი არ არის, როდესაც გეგმას ჩაიტანდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და იქედან წამოვიდოდა დაფინანსება. დღეს ეს ბიზნესის საქმეა. ხელისუფლების ვალდებულებაა, დაეხმაროს ბიზნესმენს და ხელი არ შეუშალოს პროექტების განხორციელებაში.

_ მაგრამ თუ მართლა მომგებიანი შემოთავაზებებია სამტრედიისთვის, ხომ შეიძლება, ვინმე დააინტერესოთ?

_ ეს მაინც მუშაობის ძველი სტილია. ვინ უნდა შევაწუხო, ბიძინა ივანიშვილი? ბიზნესი ისეთი სფეროა, თვითონ უნდა განსაზღვროს, სად და რა უფრო მომგებიანია.

_ თქვენ პარტია "ქართული ოცნების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ბრძანდებით. დაიწყო თუ არა პარტიამ მოახლოებული არჩევნებისთვის მზადება?

_ არჩევნებისთვის მზადება ყოველთვისაა. დამთავრდება თუ არა ერთი არჩევნები, უკვე იწყება მზადება. მოახლოებასთან ერთად გააქტიურება არ მოხდება. მე გითხარით სოციალური დახმარებების დინამიკას გადახედეთ-მეთქი. თქვენ იქ განსხვავებას ნახავთ. როგორც ვაკეთებთ, ისე გავაგრძელებთ მუშაობას და ეს საარჩევნო არ იქნება. როცა მივალთ მოსახლეობასთან, სათქმელი უნდა გქონდეს, მე პირადად მექნება. ჩვენთვის მთავარია, ვიზრუნოთ იმაზე, ჩვენი საშუალებები შესაბამისად გამოვიყენოთ მუნიციპალიტეტის უკეთ მოწყობისთვის. ერთადერთს გპირდებით: იქნება თანხა გამოყოფილი? იგი მხოლოდ მოსახლეობას მოხმარდება, ერთი თეთრი არ წავა ვალერი ფოცხვერიას და გამგეობის რომელიმე თანამშრომლის ჯიბეში.

_ ზოგადად ქვეყანაში "ქართული ოცნების" რეიტინგი დაეცა. თუ NDI მონაცემებს ვენდობით, მოსახლეობის მხოლოდ 18% უჭერს მხარს სახელისუფლებო პარტიას. თქვენი აზრით, როგორ აისახება ეს არჩევნებზე?

_ ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს! თქვენ თუ გახსოვთ, წინასაარჩევნოდ **NDI** 18%-ს დებდა "ქართულ ოცნებაზე" და "ნაციონალებზე" 70%-ს. მე მოსახლეობას ვენდობი. გაბრაზებული არის, რადგან უფრო მეტს ელოდა, მაგრამ ჩვენ რა შესაძლებლობაც გვაქვს, იმის მაქსიმუმს ვაკეთებთ. გინდათ, სიმართლე გითხრათ, მასმედიის საშუალებები ქმნის ქვეყანაში ფონს. განსაკუთრებით ტელევიზია. მას შეუძლია, რაც უნდა მშრომელი, გამრჯე და ერთგული გამგებელი იყოს, ერთ წუთში უფუნქციო, არაფრის მკეთებლად აქციოს. შეუძლია პირიქითაც, უცოდინარი, ფუქსავატი, არაფრის გამკეთებელი, გმირი გახადოს.

ამერიკაში როცა დიდი დეპრესიის პერიოდი იყო, ჰოლივუდს ისეთი ფილმების გადაღება დაავალეს, მოსახლეობას მდგომარეობიდან რომ გამოიყვანდა. სააკაშვილის დროს გადაცემას "რუსთავი 2" იმით იწყებდა, ეს აშენდა, ის აშენდაო. დღეს როგორ მუშაობს ტელევიზია და პრესა _ ეს დაინგრა, ის გაფუჭდა, ვიღაც მოკლეს, ვიღაცას შეურაცხოფა მიაყენეს და ბოლოს პატარა ნიუსი: პრემიერ-მინისტრი სადღაც ვიღაცას შეხვდა.

_ სამწუხაროდ, კრიმინალურმა ფაქტებმა იმატა და ამის განცდა არსებობს საზოგადოებაში.

_ როგორ, აქამდე არ ხდებოდა?! სწორი არ არის, რომ მოიმატა. დამისახელეთ ფაქტები სამტრედიაში. შეადარეთ ახლანდელი 5 წლის წინანდელ სტატისტიკას. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. 2007 წელს ჩემს სოფელში ძროხები დაიკარგა. 40 ბიჭი დაიჭირეს. ზოგს ნარკოტიკი ჩაუდეს, ზოგს _ ავტომატი. მე ყოველთვის ვიყავი ჩემი მეზობლების ადვოკატი და პოლიციის უფროსმა იცით რა მითხრა: ვიცით, რომ მხოლოდ 2-მა მოიპარა, ვერ ვუმტკიცებთ, თორემ ისიც ვიცით, ვინ მოიპარაო. დანარჩენი-მეთქი, დანარჩენი ველარ გაბედავს, შეეშინდებაო. ასე ვიმუშაოთ? 40 ოჯახი გაუბედურდა. საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და პირობითი სასჯელი მისცეს. არ გაინტერესებთ სოფლის განწყობა? 300 კომლიან სოფელში 250 ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა.

_ მოარულ ფრაზად იქცა საქართველოში "უნიათო მთავრობა". ერთ-ერთ მიზეზად არასწორი საკადრო პოლიტიკა, ასევე, უმუშევრობა, სოციალური პირობები, ლარის კურსის ვარდნა და კიდევ ბევრი სხვა რამ სახელდება.

_ ვფიქრობ, მასმედიას დიდი როლი აქვს ამ საქმეში. თუ არაფერი კეთდება, თუ უმუშევრობამ იმატა და ა. შ. დაინტერესდით ჟურნალისტები, შეადარეთ გასულ წლებს ის, რაც ახლა ხდება. იქნებ მართლაც არაფერი ხდება და ჩვენ გვგონია, კეთდება. თქვენ უყურებდით სხდომაზე, დააქციეთ ეს ქვეყანაო, იმ ხალხმა გვითხრა, დღეს რომ ცათამბჯენებს აშენებს სამტრედიაში. ბრალდებებს მიზანმიმართული ხასიათი აქვს. თუკი უკუსვლაა, რატომ დებენ ფულს დარბაზებსა და სხვადასხვა კომერციულ შენობებში; თუ კრიმინალმა იმატა და ქვეყანა იქცევა, რატომ ხდება მაშინ ასე. ნახეთ ერთი რა მშენებლობები მიმდინარეობს სამტრედიაში. და ვინ აშენებს?

დღეს არავინ აყაჩაღებს ბიზნესმენს. რაბათი და სიღნაღი რომ აშენდა, მათს გამოძალეს თანხები. ახლაც შენდება, მაგრამ ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

სამტრედიის მაგალითზე ვისაუბროთ: გაზიფიცირების ისეთი ტემპები იყო მაშინ, როგორც ახლაა? სანიაღვრე არხებისა და მდინარის კალაპოტები ასეთი მოწესრიგებული ყოფილა? ან თუნდაც წყლის სისტემების რეაბილიტაცია, კორპუსების გადახურვა გაორმაგებული ტემპით. რა იყო ისეთი, რომელიც კეთდებოდა და ახლა აღარ კეთდება.

_ იქნებ უკეთესი პიარია ამისთვის საჭირო?

_ ჩვენი პიარი ჩვენი გაკეთებული საქმეებია.

_ რას ეტყოდით მოსახლეობას წინასაახალწლოდ?

_ ვეტყვი, რომ კარგი 2016 გვექნება. მთავარია, ერთმანეთს ხელი შევუწყოთ და ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ.

მინდა მივულოცო ახალი წელი ჩემს სამტრედიელებს. ძალიან მიყვარს სამტრედია და ვგრძნობ იმ პასუხისმგებლობას, რაც სამტრედიელებმა ჩემს მიმართ გამოხატეს. ერთი რამ შემიძლია დავპირდე მათ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ 2016 უფრო მეტად ღიმილიანი იყოს, ვიდრე 2015.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა

საქართველოს მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უმეტესობას უფლებამოსილების ვადა ეწურება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვაკანტურ ადგილებზე ვაკანსიები გამოაცხადა.

29 დეკემბერს განცხადებების მიღება ოფიციალურად შეწყდა.

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია 5 წევრისგან შედგება. მათგან მხოლოდ ერთ, ახლად არჩეულ წევრს, სოფიო დარჯანიას ამ ეტაპზე არ უწყდება უფლებამოსილება. ამდენად, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 4 ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსია გამოცხადებული.

29 დეკემბერს საღამოს 6 საათზე განცხადებების მიღება შეწყდა. ცესკომ ოფიციალურ ვებ-გვერდზე კონკურსში მონაწილეთა სიები გამოაქვეყნა.

ცნობილი გახდა, რომ 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობისთვის 10 კონკურსანტი იბრძოლებს. ესენია: ნანა იმნაძე, ნინო ვაშაკიძე, ლელა მელქაძე, ირაკლი ადეიშვილი, მარიკა ბოკელავაძე, ფიქრია გოგუაძე, მალხაზ ცქიტიშვილი, მამუკა ახობაძე, ალექსანდრე ხუჭუა, კობა სიხარულიძე, გელა ლაღაძე.

ცენტრალური საარჩევნო კომისია 2016 წლის იანვრის ბოლოდან თებერვლის პირველ ნახევარში ხმის მიცემის წესით ზემოთ ჩამოთვლილ კანდიდატებში კონკურსს ჩაატარებს. შეირჩევა 4 წევრი, რომელთაგანაც, შიდა არჩევის წესით, თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი გამოვლინდებიან. მათ 5 წლის ვადით უფლებამოსილება მიენიჭებათ.

ნინო ნანიტაშვილი

სოციალური სფეროს დაფინანსება გაიზარდა

საერებულოს იმ სხდომაზე, მომავალი წლის ბიუჯეტი რომ იხილებოდა, სოციალური საკითხები არაერთი შეკითხვის თემა გახლდათ. ოპოზიციასა და უმრავლესობას დეტალურად აინტერესებდათ, რა სიახლეები დაიგეგმა ამ სფეროში და რამდენად გაიზარდა მისი დაფინანსება. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი წლის ბიუჯეტი სოციალურ სფეროზე გახლავთ ორიენტირებული, საერებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი ლეჟავასა და გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსს, ლევან ახობაძეს ცვლილებებზე ხმამაღლა საუბრის საშუალება ჰქონდათ. გოგი ლეჟავას არც ოპოზიციის შენიშვნების მოგერიება გასჭირვებია, რადგან წინა წლებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაზრდილი თანხაა გათვალისწინებული სოციალურ სფეროზე.

თუ მიმდინარე წელს 580 ათასი ლარით გახლდათ დაფინანსებული, 2016 წლიდან იგი 700 ათასი გახდება. მატება თითქმის 120 ათასი ლარია. ძირითადი მუხლები, რასაც სოციალური სფერო მოიცავს, გაზრდილი თანხებით იგივე რჩება. სიახლეა ის, რომ ნაცვლად ერთჯერადი დახმარებებისა, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული 18 წლამდე ბავშვები, მომავალი წლიდან ყოველთვიურად 50 ლარს მიიღებენ. გასულ წლებში კი ეს დახმარება წელიწადში ერთხელ 200-300 ლარით შემოიფარგლებოდა. ამ ცვლილებით დახმარების თანხა 600 ლარამდე გახდება წელიწადში. 18 წლის ზემოთ კი, ძველებურად წელიწადში ერთხელ გაიცემა დახმარება.

არასაპენსიო ასაკის მარტოხელა, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ყოველთვიურად 30 ლარს აიღებენ დახმარების სახით, ასევე ყოველთვიურ დახმარებას მიიღებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ფსიქიურად დაავადებული ადამიანები. ისინი აქამდე მას ერთჯერადად იღებდნენ, მაგრამ ამჯერად იგი ყოველთვიური გახდება.

გარდა ამისა, გოგი ლეჟავამ ხაზგასმით აღნიშნა სამტრედიაში "წითელი ჯვრის" ორგანიზაციის დაარსების შესახებ, რომლისგანაც არაერთი სასიკეთო საქმის წამოწყება-დაფინანსებას ელის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საერებულოს სხდომაზე აქცენტი სტუდენტების დაფინანსებაზე გაკეთდა. როგორც ცნობილია, დედ-მამით ობლებს ადილობრივი ბიუჯეტი სწავლას უფინანსებს. ოპოზიციამ დააყენა წინადადება, ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნენ ისინიც, ვისაც ერთი მშობელი ჰყავს, ან ორივე, მაგრამ ოჯახს სწავლის ქირის დაფარვის საშუალება არ გააჩნია სოციალური სიდუხჭირის გამო. პასუხი მათთვისაც ჰქონდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს. სტუდენტებთან დაკავშირებით პროექტში ცვლილებები არ არის, მრავალშვილიან ოჯახებს, ანუ მათ, ვისაც 4 და მეტი შვილი ჰყავს, დედ-მამით ობლებს და სოციალურად დაუცველებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-30 ათასამდეა, ერთჯერადად 500 ლარით ეხმარებიან. რაც შეეხება სხვა კატეგორიას, გოგი ლეჟავა აღნიშნავს, რომ: "მომართვა შემცირდა. მე ამას ვხსნი იმით, რომ 23 ფაკულტეტზე სწავლას სახელმწიფო თავად უფინანსებს სტუდენტებს. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში გამონაკლისი დაგვიშვია და დავუშვებთ, თუმცა, ამ მხრივ ძალიან შეზღუდულები ვართ."

"ქვეყნის უპირველესი სიძლიერე ადამიანია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენად დაცულია სახელმწიფოში მისი ჯანმრთელობა და უფლებები. სოციალური სფეროს დაფინანსება, მით უმეტეს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, აუცილებელიც კია. ჩემთან ბევრი მოქალაქე მოდის დახმარების თხოვნით. სურვილი გვაქვს, ასეთები არ იყვნენ, მაგრამ რადგან არიან, საჭიროა მნიშვნელოვნი შეღავათები მივცეთ." _ ამბობს გოგი ლეჟავა. რაც შეეხება თანხებს, წლის განმავლობაში გამოთავისუფლებული თანხების სოციალური სფეროსკენ მიმართვის კატეგორიული მოთხოვნა აქვს.

და აქვე იმაზეც, რომ წლის ბოლო სხდომაზე სოციალური კომისიის დატოვების სურვილი დეპუტატებმა დავით ამაღლობელმა და გრიგოლ ჩიგოგიძემ გამოთქვეს. სავარაუდოდ, ეს რანგირების კანონით ხელფასების მომატების ხმაურიან თემას უკავშირდება. როგორც ცნობილია, გოგი ლეჟავა ამ საქმის მოწინააღმდეგე გახლდათ. თუმცა, ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე დავით ამაღლობელი აცხადებს, რომ: " ვთვლით, რომ ორივემ ამოვწურეთ საკუთარი თავი ამ კომისიაში და სურვილი გვაქვს, კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრები გავხდეთ. ეს პირადი განცხადების საფუძველზე მოხდა." დავით ამაღლობელი კომისიის დატოვების სხვა რამენაირ მიზეზს გამორიცხავს.

თეა ბაბუნაშვილი

გავუვეთ, ვინც ჭკვიანურ სიგიჟეს იტყვის!

თეა ბაბუნაშვილი

მამით ობოლი ის პატარა ბიჭი გაიზარდა და ყველაფერს აკეთებს, სამშობლოს არა მარტო სიტყვით, საქმითაც დაუმტკიცოს ერთგულება. და ასეა უკვე ბევრი წელია, მას შემდეგ, რაც ჰოლანდიაში ცხოვრობს. იგი იმ საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელია, რამდენიმე დღის წინ სამტრედიის საბავშვო ბაღებისთვის საქველმოქმედო ტვირთი რომ გამოაგზავნა. მამუკა თოდრიას გვარ-სახელის ხსენებისას, მისი კეთილი საქმეები ბევრს გაახსენდება. "გული საქართველოსთვის" ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც ვახსენეთ, როგორც საქველმოქმედო ფონდი. ამჯერად მისი ხელმძღვანელი თავად ეწვია სამტრედიას.

შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში მოხდა. მანამდე კი, მანამდე გამგებელს კითხვა დავუსვით, რატომ დაიდგა ბაღებისთვის განკუთვნილი ავეჯის ნაწილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სახლში. გვიპასუხა, რომ ეს ტვირთი ბაღების გარდა სოციალურად დაუცველებისა და ადმინისტრაციული სახლის მოძველებული ავეჯის გასაახლებლადაც იყო განკუთვნილი, ვინაიდან მასში ბევრი იყო ისეთი ნივთი, საბავშვო ბაღები რომ ვერ გამოიყენებდნენ. მათ ის ნივთები წაიღეს, რაც გამოადგებოდათ, სოციალურად დაუცველთათვის განსაზღვრული ნივთები ადრესატებისთვის გადაიანახეს. ადმინისტრაციული სახლის თითქმის ყველა ოთახში კი, როგორც გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა აღნიშნა, შეაღწია მამუკა თოდრიას სიკეთემ. "ტვირთი მხოლოდ ბაღებისთვის იყო განსაზღვრული, მაგრამ მე ვუგებ რაიონს, ბევრი საჭიროება აქვს." _ აგვიხსნა თავად მამუკა თოდრიამ.

სტუმარი სამომავლო გეგმებზეც ჰყვებოდა: "ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება იმისა, რომ ვინმე გავანებივროთ. ეს ყველაფერი თავდაუზოგავი შრომით მოდის. მე ვმუშაობ ჰოლანდიაში და საქველმოქმედო საქმეების მოსაგვარებლად დღისით დრო არ მრჩება. სამსახურის შემდეგ ვიწყებ ზრუნვას თანამემამულეებისათვის. ღამეში 4-5 საათი მძინავს. გამიხარდებოდა, რომ ბევრი იყოს ამგვარი ფონდი, რადგან სამშობლოში ბევრი რამის საჭიროებაა."

საქველმოქმედო ფონდმა "გული საქართველოსთვის" მუშაობა სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე ზრუნვით დაიწყო. და ეს იმიტომ, რომ "მე ვიცი, რა არის ბედნიერი ბავშვობა! ვიცი არა იმით, რომ თავად მქონდა ასეთი. დედაჩემი, ზაირა ყაჭეიშვილი პედაგოგი გახლდათ. ადრე დავობლდით მე და ჩემი და. დედა არაფერს გვაკლებდა, მაგრამ მაინც ბევრი გვაკლდა, ბავშვობაში ველოსიპედიც არ მქონდა."

მენტალიტეტი, რა თქმა უნდა, თავისას შვება. მეუღლე, მაია ქორიძე მეზობელი სოფლიდან არის. დედას არ უნდოდა შვილს უცხოელი ცოლი ჰყოლოდა. გორმაღლელი მომხიბვლელი გოგონა მან ტაძარში ნახა და საქართველოში ჩამოსულ ვაჟიშვილს გააცნო. მერე კი მაია ქორიძე მამუკა თოდრიას არა მარტო მეუღლე, მეგობარი და თანამოაზრეც გახდა.

"გული საქართველოსთვის" მთელი ქვეყნისთვის იღვწის, თუმცა, სამტრედია გამორჩეულია იმიტომ, რომ: "მე ტოლებში დავიბადე და იქაური ჩიტის ჭიკჭიკაც მიყვარს. დედაჩემი 50 წელი ტოლების საშუალო სკოლაში მუშაობდა. ტოლების, ნოღის, ვაზისუბნის, ბერძნისწყაროს სკოლებს ავეჯი უკვე გამოვუგზავნეთ. ბუნებრივია, რომ სურვილი მაქვს, ჩემი ხელი და გული სამტრედიას მეტად დავატყო." სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოსო, _ დასძენს. შეცვლილი პერიფრაზით ეს სიტყვები ჯერ ისევ კარგად ახსოვთ ქართველებს, თუმცა, მამუკა თოდრიას ნათქვამი ნამდვილად საქმიანია!

მუდამ სიახლის მძებნელს სჯერა, გავყვეთ მას, ვინც ჭკვიანურ სიგიჟეს იტყვის!

ჰოლანდიაში საქართველოს მამუკა თოდრიათიც იცნობენ. კიდევ სტალინით, შოთა არველაძით, რომელიც "ააქსში" თამაშობდა და სანდრა რულოვსით, მათი თანამემამულე ყოფილი პირველი ლედით.

ყველაზე უფრო სასიხარულო სხვა რამ აღმოჩნდა პირადად ჩვენთვის. მამუკა თოდრიამ მოიკითხა გაზეთი, რომელიც მის ბავშვობაში გამოდიოდა და "წინსვლა" ერქვა და რომელსაც თავადაც ხშირად კითხულობდა. მას შემდეგ, რაც "სამტრედიის მაცნე" გავხდით, იგი ჩვენი ერთ-ერთი ნომრის სტუმარიც იყო.

რადგან მისი სიტყვა საქმიანია, გვჯერა, ის ჰუმანიტარული ტვირთი, "სამტრედიის მაცნეს" რომ დაჰპირდა, უახლოეს ხანში მართლა ჩამოვა ჩვენამდე. თუმცა, საქმე მხოლოდ ტვირთი არ არის. ყველაზე დიდი საჩუქარი ამდენი წლის შემდეგ პატარა ქალაქში გამომავალი ჩვენი გაზეთის გახსენებაა, დიდი ქალაქების მტვერნაყლაპი კაცისგან, ადამიანისგან, რომელმაც

ვინც შრომის, ნიჭის, საქმის და თვით გაზეთის ფასი იცის! მადლობა "სამტრედიის მაცნესგან" მამუკა თოდრიას, გულწრფელი სიტყვებით გალამაზებული ახალი წლისთვის!

ბაბუ მოიცაცეს...

არასაახალწლო თემაზე

არა, თოვლის ბაბუა არავის მოუტაცნია, ანკი, სადა გვყავს თოვლის ბაბუა? იგი დიდი ხანია, სანტამ ჩაანაცვლა და ეს ძველქართული, ტრადიციული სახელიც მის ეროვნულ სამოსთან ერთად მივივიწყეთ.

ბევრს ახსოვს, როგორი იყო ქართული (ქართველი) თოვლის ბაბუა _ თეთრწვერა, ხურჯინგადაკიდებული, ხურჯინიდან კი პაწიების გასახარად ჩურჩხელა თუ გოზინაყი იწონებდა თავს. ეს სულ სხვა თემაა...

საქმე გაცილებით მტკივნეულ საკითხს ეხება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში, სოფლებში რომ ხდება ბოლო ხანებია.

გაზაფხულზე ჯონჯოლის კრეფისას, წლის ნებისმიერ დროს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საზღვრისპირა სოფლებიდან ხალხის გატაცება! განსაკუთრებით ხშირია ხანდაზმულ ადამიანთა გატაცება, რომლებიც ნახირს მწყემსავენ. წერილის სათაურიც იმ 12-13 წლის გულმოკლული გოგონას სიტყვებია, რამდენიმე ხნის უკან გულმოკლულადვე რომ უთხრა შემთხვევის ადგილზე მისულ მედიის წარმომადგენლებს.

ღმერთმა არ ქნას, ამ წერილის ავტორმა, ან რომელიმე ჭკუათმყოფელმა ეჭვქვეშ დააყენოს ქართველი სამხედროების გმირობა, თავდადება, მამულიშვილობა ერაყსა თუ კოსოვოში, ავღანეთში, სამშვიდობო ოპერაციებში, მაგრამ ერთი კითხვა ნამდვილად არ გვასვენებს:

ვინ (და) იცავს საქართველოს მოქალაქეებს, მათ მარჩენალ პირუტყვს მსგავსი უსიამოვნო ფაქტებისაგან?

ლევან გაგნიძაძე

სანამ კითხვის დასმას ვისწავლიდეთ

თეა ბაბუნაშვილი

"კავშირი საფეხბურთო კლუბ სამტრედიას" მმართველი დირექტორი პაატა შალამბერიძე საკრებულოს იმ სხდომიდან გამოსული ჩაკწერეთ, რომელზეც მომავალი წლის ბიუჯეტს იხილავდნენ.

ამჯერად საფეხბურთო კლუბისთვის 600 ათასი ლარია განსაზღვრული. პატარა არც ეს გახლავთ ბიუჯეტისთვის, მითუმეტეს, როცა საშუალება ვერ გამოიძებნა ააიპებში, თუნდაც, ერთპროცენტიანი სახელფასო ზრდისა. რამდენით გაიზრდება, ან თუ გაიზრდება, როგორც გვეუბნებიან, გამოკითხვებით სამტრედიაში პრიორიტეტად, უპირველეს მოთხოვნილებად ქცეული ამ სფეროს დაფინანსება, მომავალი წლის განმავლობაში აუცილებლად გავიგებთ. 2015 წელს კი მისი დაფინანსება 1 მილიონ 200 ათას ლარს ასცდა. სამტრედიის სინამდვილეში იმ ასტრონომიულ ხელფასებზე, საკლუბო გუნდში რომ არის, არაერთხელ უთქვამთ და დაწერილა. როგორც საზოგადოებას ჰპირდებიან, ახალი წლის ბიუჯეტში მხოლოდ აქამდე გათვალისწინებული თანხის ნახევარია ამ სფეროსთვის განკუთვნილი. და ეს იმიტომ, რომ ფეხბურთის ფედერაციის შეცვლილი მმართველობა ახალ რეგულაციებს უწესებს მუნიციპალიტეტების საფეხბურთო კლუბებს.

პაატა შალამბერიძემ კი განაცხადა, ის ასტრონომიული თანხები, რაც მთავარი მწვრთნელის, ფეხბურთელების, ადმინისტრაციის ხელფასებად სახელდებოდა, სიმართლეს არ შეეფერება, დასძინა, რომ ჟურნალისტები კითხვებს ასე არ უნდა ვსვამდეთ, სხვა რამით უნდა ვინტერესდებოდეთ და სანამ კითხვის დასმასაც ვისწავლიდეთ და იმით დაინტერესებასაც , რაც "საჭიროა", რესპონდენტის კომენტარს უცვლელად გთავაზობთ.

პაატა შალამბერიძე: პირველ რიგში, მილიონ-ნახევარი ფეხბურთისთვის არ ყოფილა გამოყოფილი. გარდა ამისა, განხილვა იყო საკრებულოს სხდომაზე, 100 პროცენტით დაეთანხმნენ ფეხბურთში 600 ათასის დამტკიცებას. ალბათ, ყველა თვლის, რომ ეს აუცილებელი სპორტის სახეობაა და რომ ეს თემა, რაც ჩვენ დღემდე შევქმენით, ავაღორძინეთ უმაღლეს ლიგაში ჩვენი რაიონის გუნდი დასაფასებელია. ცრუ ინფორმაციაა, რომ 4 და 7 ათასი აქვთ აქ ხელფასები. იმდენი აქვთ, რაც სხვა კლუბებში, 2 ათასი, 2500-ი... გააჩნია, რასთან მიმართებაშია ეს ბევრი, 100 ლარი რომ იყოს სხვაგან და 1000 აქ, ეს ბევრია, მაგრამ, იმის გათვალისწინებით რამდენი აქვთ სხვა კლუბებში, არაა ბევრი. სხვა კლუბებიც რაიონის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, მაგალითად, ბათუმი, გორი... რომელი კლუბი ჩამოთვალოთ. ფეხბურთი ზოგადად ეს არის ისეთი თემა, რომ... კლუბის ხელმძღვანელობის ხელფასს რაც შეეხება, მენეჯმენტი 10 ადამიანისგან შედგება და ჯამში ამათი ხელფასი 7 ათასი ლარია. თქვენ უმჯობესია დაინტერესდეთ იმ პროგრამით, რასაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უდგას სათავეში და გეგმავს განახორციელოს. ანუ, შეიქმნას ერთიანი საფეხბურთო ფონდი და აქედან მოხდეს უმაღლესი ლიგის გუნდების დაფინანსება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი უნდა გამონთავისუფლდეს და მოხდეს გუნდების ერთიანად დაფინანსება. შემდეგ უკვე მენეჯმენტზე იქნება დამოკიდებული, როგორ წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. ეს კი გამოიხატება უმაღლეს ლიგაში დაკავებული ადგილების მიხედვით. პირობითად, თუ პირველი ტური დავასრულეთ მეხუთე ადგილით და გავიხარჯეთ რაღაც თანხა, სხვა კი გავიდა მეათე ადგილზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოქნილად ვიმუშავეთ. თქვენ უნდა გაინტერესებდეთ ერთი და მთავარი _ ბოლო წლებში ჩვენმა რაიონმა შეიძინა შესანიშნავი ინფრასტრუქტურა, რომელიც სრული 100% არის დაფინანსებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, 2014 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოყო მოქმედი კლუბებისთვის 200 ათასი ლარი. ჩვენ ამ თანხით შევიძინეთ მშენებარე ობიექტი, დავასრულეთ და "საფეხბურთო კლუბ სამტრედიას" 30 ადამიანზე აქვს კეთილმოწყობილი ევროპული დონის ბაზა, ისეთი, როგორიც ძლიერ კლუბებს, ვთქვათ თბილისის "დინამოს". ეს არის მთავარი, რაც გავაკეთეთ. მთავარია, რომ მეხუთე ადგილზე გავედით. ხელფასების თემაც მთავარია, მაგრამ შეკითხვას რომ მისვამთ, უნდა ვიცოდეთ, რასთან არის მაღალი ეს ხელფასები. მე მოჭიდავე ვიყავი, მაგრამ 100 ლარი მქონდა ხელფასი, ფეხბურთელს კი 10 ათასი ლარი სპორტული შესაბამისობით. ასე საუბრით გამოდის, რომ ფეხბურთი არ იყოს სამტრედიის რაიონში. არ იყოს? შეუძლია, რომელიმე სფეროს კვირაში, თუნდაც ორჯერ, 2 ათასი კაცი შეკრიბოს? ფეხბურთს შეუძლია!"

ეს კომენტარი და აქვე ერთი შებრუნებული კითხვაც, სანამ კიდევ ერთხელ ვისწავლიდეთ კითხვის დასმას _ ვისაც შია და ცივა, მან ცეკვის მაგივრად ფეხბურთი რომ ითამაშოს, კლუბში მიიღებთ?

საკრებულოს ამ სხდომიდან ორიოდ დღეში კიდევ ერთი სხდომა გაიმართა, რომელზეც წლის მიწურულს არსებული საჭიროებებისთვის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები იხილებოდა. როგორც გაირკვა, საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" კიდევ 128 ათას 900 ლარი დაემატება ბიუჯეტიდან სახელფასო ფონდში. რა თქმა უნდა, დავინტერესდით, რამ გამოიწვია დეკემბერში სახელფასო თანხის არქონა, სავარაუდოდ, თავის დროზე ბიუჯეტი 11 თვეზე ვერ დაიგეგმებოდა, ხომ არ იყო ეს გამოწვეული სხვადასხვა მუხლობრივი გადანაცვლებით. კლუბის მმართველმა დირექტორმა პაატა შალამბერიძემ გვიპასუხა, რომ: "მე არაფერს არ ვადასტურებ, ვამბობ იმას, რომ დეკემბრის ხელფასი არ იყო გათვალისწინებული. ჩვენ გვქონდა მოთხოვნა და მოთხოვნა დაკმაყოფილდა დღეს. არ მაქვს პასუხი კითხვაზე ბიუჯეტიდან მოდის ეს თანხა თუ არა, ამას მე როგორ გიპასუხებთ? ბიუჯეტიდან მოდის ეს თანხა თუ არა." სამაგიეროდ, საფინანსო სამსახურის უფროსმა დავით ბაღდავაძემ საუბრის დასაწყისში დაადასტურა, რომ ბოლო თვის სახელფასო თანხა ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო. კითხვაზე _ რატომ? _ კი უპასუხა: "გარკვეული ვალდებულებები გვქონდა მოგებებთან დაკავშირებით. ეს საპრემიო თანხაც არის და ხელფასიცაა გათვალისწინებული. 2015 წლის ბიუჯეტში ამ თანხის გაუთვალისწინებლობა გუნდის წარმატებებს უკავშირდება." კითხვის შებრუნების შემდეგ კი დავით ბაღდავაძე აკონკრეტებს: "გათვალისწინებული იყო სახელფასო თანხა, მაგრამ კლუბის ბიუჯეტის კორექტირება მოხდა." საინტერესო, რა თქმა უნდა, არის, რამ გამოიწვია მსუყედ დაფინანსებული კლუბის ბიუჯეტის ისეთი კორექტირება, რომ სახელფასო თანხის გახარჯვა გახდა აუცილებელი.

> **ვისაც ცივა და შია, ცეკვის მაგივრად ფეხბურთი რომ ითამაშოს, გუნდში მიიღებთ?**

გახდი მოქალაქე

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 28 დეკემბერს მოსწავლეთა დაჯილდოება შედგა. სიგელები და სასაჩუქრე ჩანთები სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის პირველ ტურში გამარჯვებულ 10 ახალგაზრდას რესურსცენტრის სპეციალისტმა, ელიზა ცხვირავაშვილმა გადასცა.

ოლიმპიადა საქართველოს მასშტაბით 28 ნოემბერს საჯარო სკოლებში ჩატარდა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა სკოლამ მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდა 18 გამარჯვებული. მათგან შედარებით მაღალქულიანი 8 მოსწავლე ქალაქ ქუთაისში დააჯილდოვეს. ესენია: მარიამ თადუმაძე, 1-ლი საჯარო სკოლა, 35 ქულა. გიორგი ტაბიძე, მე-3 საჯარო სკოლა, 34 ქულა. ნინო ჩაჩუა, მე-6 საჯარო სკოლა, 34 ქულა. თეა მიქელაძე, მე-9 საჯარო სკოლა, 37 ქულა. გიორგი ფახურიძე, მე-9 საჯარო სკოლა, 34 ქულა. გალაქტიონ ფახურიძე, მე-9 საჯარო სკოლა, 33 ქულა. თეონა ზაქარეიშვილი, მე-10 საჯარო სკოლა, 34 ქულა. გიორგი ზაქარეიშვილი, მე-10 საჯარო სკოლა, 34 ქულა.

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ღირსეული საჩუქრები მიიღეს 1-ლი საჯარო სკოლიდან ელიზავეტა გოჩელეიშვილმა, 29 ქულა. 1-ლი საჯარო სკოლა _ სოფიო დვალიშვილი, 32 ქულა. 1-ლი საჯარო სკოლა _ ნინო ძაგნიძე, 29 ქულა. მე-6 საჯარო სკოლა _ ქეთევან ადეიშვილი, 32 ქულა. მე-10 საჯარო სკოლა _ ხატია სიხარულიძე, 29 ქულა. მე-11 საჯარო სკოლა _ მამია კიღურაძე, 30 ქულა. იანეთის საჯარო სკოლა _ ლანა ლეკვეიშვილი, 32 ქულა. ღანირის საჯარო სკოლა _ ნინო დანელია, 29 ქულა. ეწრის საჯარო სკოლა _ ანანო ფოცხვერია, 29 ქულა. დიდი ჯიხაიშის 1-ლი საჯარო სკოლა _ თემურ ვაშაკიძე, 31 ქულა.

ელიზა ცხვირავაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი: "ყველა საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვება წარმატებად მიმაჩნია, ვინაიდან მასში ახალგაზრდების უდიდესი შრომა და ნებისყოფაა ჩადებული. რაც შეეხება სამოქალაქო ოლიმპიადაში გამარჯვებულ ბავშვებს, მათ მიღწევას განსაკუთრებულად გამოვყოფდი, ვინაიდან ამ ახალგაზრდებმა საგნის წყალობით კარგად იციან, რა არის თავისუფლება, სად იწყება და სად მთავრდება იგი. რა არის მოქალაქის უფლებები და მოვალეობები. ვთვლი, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების უკვე ღირსეული წევრები არიან".

ოლიმპიადის ჩატარება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. გამარჯვებულებს სიგელებიც და საჩუქრებიც მათ გამოუგზავნეს.

სასაჩუქრე ჩანთა წარწერით "გახდი მოქალაქე" საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. მასში იდო კრებულის მე-3 წიგნი "რა არის თავისუფლება?" ბლოკნოტი და საწერკალამი, მაისური და კეპი, მაღაზია "ბიბლუსის" 50 ლარიანი ვაუჩერი.

თემურ ვაშაკიძე, დიდი ჯიხაიშის 1-ლი საჯარო სკოლა: "5 წელია, სამოქალაქო განათლებას ვსწავლობ. ვთვლი, რომ საინტერესო საგანია, იმდენად, რამდენადაც ბავშვები სკოლის პერიოდში გამოიმუშავებენ იმ უნარ-ჩვევებს, ზრდასრული პერიოდისთვის რომ გამოადგებათ. წელს პირველად მივიღე ამ საგნის ოლიმპიადაში მონაწილეობა და ველოდი გამარჯვებასაც. მადლობას ვუხდი ჩემს პედაგოგს, როზეტა ვაშაკიძეს".

ლანა ლეკვეიშვილი, იანეთის საჯარო სკოლა: "მადლობას ვუხდი განათლების სამინისტროს, რომ სკოლაში საგაკვეთილო პროცესში ჩართო სამოქალაქო განათლება. რადგან ამის ცოდნა გვეხმარება თვითრეალიზაციისთვის, ახალგაზრდებს გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ადგილი გვიკავია ცხოვრებაში".

ელიზავეტა გოჩელეიშვილი, 1-ლი საჯარო სკოლა: "სამოქალაქო განათლებას მე-9 კლასიდან ვსწავლობ. საკმაო ცოდნა დამიგროვდა მის შესახებ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა. ვთვლი, რომ ეს კონკურსი ხელს უწყობს მოზარდის ცოდნის გაზრდა-გაღრმავებას, მადლობას ვუხდი სამოქალაქო განათლების პედაგოგს ლია ცინცაძეს".

სიგელებისა და სასაჩუქრე ჩანთების გადაცემამდე გამარჯვებულ მოსწავლეებს წარმატება მიულოცეს რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტებმა ალექსანდრე თევზაძემ და ლილი ფხაკაძემ. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურის სპეციალისტმა მამუკა კოკელაძემ.

საზეიმო შეხვედრების ბოლოს უფროსებმა წარმატებულ მოსწავლეებთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

ქრისტე იშვა ბეთლემსა!

დიდება ყოვლის შემოქმედს,
დიდება მისსა მცნებასა!
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!

ა. წერეთელი

თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან შობა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია.

იესოს მშობლები იოსები და მარიამი, მიზეზთა გამო, ნაზარეთიდან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ბეთლემს გადასულან. მათ დროებით თავი გამოქვაბულისთვის შეუფარებიათ, იქ, სადაც უამინდობისას თავს მწყემსები აფარებდნენ და ნახირს აბინავებდნენ.

სწორედ მწყემსებმა ამცნეს ხალხს დაბადება _ ხორციელი შობა ჩვილისა, რომელიც შემდეგ მხსნელად მოევლინა კაცობრიობას.

საქართველოში ქრისტეს შობას განსაკუთრებულად აღნიშნავენ. უძველესი ტრადიციის მიხედვით ყველა ოჯახში დგას საშობაო ჩიჩილაკი, შობის ღამეს მეალილოები კარიდან კარზე დადიან და მაცხოვრის შობას ულოცავენ ხალხს.

მასპინძლები მეალილოებს ათასნაირი ნუგბარით უმასპინძლდებიან.

რაც შეეხება მიუსაფართა, უპოვართა, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მონახულებას საშობაოდ, ბოლო წლებში დამკვიდრებული (არცთუ ურიგო) ტრადიციაა და მოყვასის სიყვარულითაა ნაკარნახევი.

უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს ხორციელ შობას გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

ორი ჩემპიონატის გამარჯვებული ინტელექტუალები გამოვლინდნენ

ნათია ნაცვლიშვილი

რამდენიმე წელია, ყოველი წლის მიწურულს ჩვენს თანაქალაქელებს უდიდესი სიამოვნება ელით: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზი ინტელექტუალ ახალგაზრდებს მასპინძლობს. წლეულსაც, ტრადიციისამებრ, გაიმართა მუნიციპალური ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" და როგორც ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდ "ინტერსტელარის" კაპიტანმა, გიორგი ჩაჩუამ აღნიშნა, ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველად გაიმართა ჩემპიონატი "ბრეინ რინგში". ასე რომ, ხანგრძლივი, დაძაბული, აზარტული და სასიამოვნო ორი დღის შემდეგ გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გიორგი ჩაჩუამ თანადგომისათვის. კულტურის სამსახური მთელი ძალისხმევით ჩაერთო ამ ღონისძიების ორგანიზებაში და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ სამსახურის წარმომადგენელი, სპეციალისტი ლაშა ლორია სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის წევრია და თანაგუნდელებთან, ლაშა ორმოცაძესთან და ლევან ცირეკიძესთან ერთად მან ჩემპიონატის კითხვებიც მოამზადა. თუკი აქამდე ქუთაისის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელობა გვამარაგებდა კითხვებით, ამჯერად თავადვე გამოვიყენეთ ჩვენს ხელთ არსებული შესანიშნავი რესურსი და თამაშიც საინტერესოდ წარიმართა. ჟიურის შემადგენლობაში ლაშა ორმოცაძე, ლაშა ლორია, ლევან ცირეკიძე და აკაკი ჭანჭალეიშვილი შევიდნენ.

განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოავლინეს თამაშისადმი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ჩემპიონატის გახსნის დღეს შეკრებილთ მიესალმნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია და გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი. ისინი ორი დღის განმავლობაში ადევნებდნენ თვალ-ყურს თამაშის მიმდინარეობას. "მივესალმები ნიჭიერ ახალგაზრდებს, მჯერა ჟიურის ობიექტურობის, მინდა, ჩემპიონის თასი სამტრედიაში დარჩეს."_ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ. "მიხარია, რომ დღეს აქ ნიჭიერების ზეიმია, მეც მინდა, თასი ჩვენთან დარჩეს". _ ისურვა ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა. მეზობელი მუნიციპალიტეტიდან, ხონიდან ამ ჩემპიონატში ორი გუნდი მონაწილეობდა. ერთ-ერთს ხონის ინტელექტუალთა გუნდის კაპიტანი ხელმძღვანელობდა. კრუპიემ, გიორგი ჩაჩუამ შეკრებილთ სთხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ახლახანს გარდაცვლილი მოაზროვნის, დავით ჭოჭუას ხსოვნისათვის.

თამაშში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა გუნდებმა: 1. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალი" (გიგა გაბრიჭიძე). 2. მე-3 საჯარო სკოლის გუნდი "იპრიტი"(გიორგი ტაბიძე) 3. ლაზიკა-კაპიტალის გუნდი"ლაზიკა კაპიტალი" (არჩილ წირღვავა), ამ გუნდის წევრებმა მეორე დღეს თამაშზე მოსვლა ვერ შესძლეს. 4. მე-4 საჯარო სკოლის გუნდი "გუგლომანები" (ნანა ნიკოლეიშვილი). 5. საჯავახოს სკოლის გუნდი "საჯავახო" (მარიამ შანიძე). 6. "ALL BLACKS" (დავით მანჯგალაძე). 7. "კოზანოსტრა" (გიგა ჩალიგავა). 8. "SLAM DUNK" (დავით ბერაძე). 9. "LIMITLESS" (იოანე ვაშაკიძე). 10. მე-7 საჯარო სკოლის გუნდი "ინტელექტი" (ავთო ჯოხაძე) 11. "ლიბერთი" (თემურ თევზაძე). 12. ხონის გუნდი "გალაქტიკას + ევერესტი" (თაკო სანოძე), 13. რკინიგზელთა გუნდი "ელვა" (პაატა კოხრეიძე). 14. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრედო" "სანავარდო" (ალექსანდრე ხუჭუა). 15. ხონის გუნდი "არწივი" (გიორგი ბარბაქაძე.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ყველა გუნდს მისცეს საშუალება, ბოლომდე ეთამაშათ და პირველი დღის მონაცემების შემდეგ დაბალი რეიტინგის მქონე გუნდები არ გაიცხრილნენ. შესაბამისად, ყველას მიეცა შედეგის გაუმჯობესების შანსი.

ჩემპიონატი ბრეინ-რინგში პირველად ჩატარდა, აქ დასწრების და ღილაკზე თითის დაჭერის პრინციპი უმთავრესია. ასე რომ, ამ თვალსაზრისით იმარჯვეს მესამე სკოლელებმა და ძალიან ძლიერი გუნდები დასჯაბნეს. მუნიციპალური ჩემპიონი ბრეინ-რინგში მესამე სკოლის გუნდი "იპრიტი" გახდა, მეორე ადგილზე გუნდი "კოზანოსტრა", მესამეზე კი,"სანავარდო" გავიდა.

მუნიციპალური ჩემპიონი თამაშში "რა? სად? როდის?" გუნდი "ALL BLACKS" გახდა. მეორე ადგილზე გავიდა "ლიბერთი", მესამე ადგილის მფლობელი კი, "კრისტალია".

ჩემპიონატს სტუმრობდა ვანო ხაჟალია, როგორც გიორგი ჩაჩუამ გვითხრა, თბილისში გამართულ ჩემპიონატზე "რა? სად? როდის?" ბატონი ვანო ეხმარება და გვერდით უდგას ჩვენი, სამტრედიელი ინტელექტუალების გუნდს. "ეს გუნდი თბილისის პირველ ლიგაში თამაშობს, წარმატებული ახალგაზრდები არიან და ალბათ მალე უმაღლეს ლიგაში გადავლენ." _ იმედოვნებს გიორგი ჩაჩუა.

გამარჯვებული გუნდის წევრებმა შიდა ფარული კენჭისყრა მოაწყვეს და საუკეთესო მოთამაშედ, წლის მოაზროვნედ, გუნდის კაპიტანი დავით მანჯგალაძე დასახელეს. "შენთან თამაშის სიამოვნება უკვე გამოვცადე, გისურვებ წარმატებებს!" _ მიმართა ინტელექტუალმა ზაზა ადეიშვილმა მას პრიზების გადაცემის დროს. ვალერიანე ფოცხვერიამ ჩემპიონატში "რა? სად? როდის?" გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვა, ,ლიზა კრავეიშვილმა _ "ბრეინ-რინგში" გამარჯვებული მესამე სკოლის გუნდი. ნატალია მანჯგალაძემ _ "ლიბერთი".

როგორც გიორგი ჩაჩუამ "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა, თამაშის მონაწილეებისთვის გადასაცემად წიგნები შეიძინეს გამომცემლობაში "წიგნები ბათუმში". ამ გამომცემლობას მოაზროვნე ირაკლი ბაკურიძე ხელმძღვანელობს .რამდენიმე გამარჯვებულს ასევე გადაეცა ნაადრევად გარდაცვლილი ინტელექტუალის და მწერლის, დავით ჭოჭუას წიგნი" სინათლის ორდენის ქრონიკები _ ალდინორი". სამტრედიელმა ინტელექტუალებმა გამარჯვებულები ხეზე შესრულებული ბუს გამოსახულებით დაასაჩუქრეს.

რამდენიმე შეკითხვა იუმორისტული ხასიათისა იყო. ერთადერთმა გუნდმა გამოიცნო, თუ რა სიტყვით მოიხსენია პოეტმა ჯანსუღ ჩარკვაინმა იუმორისტულ შოუში თავისი მუსიკოსი შვილიშვილი ირმა გიგანი. სიტყვა "შოპენძაღლი" არცთუ იოლი გამოსაცნობი აღმოჩნდა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ გასცა პასუხი შეკითხვას, რომელიც ლაშა ლორიამ თამაზ კვაჭანტირაძის ხატოვანი გამონათქვამის მიხედვით მოამზადა. შეკითხვა ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონს ეხებოდა."მადლობა ლაშა ლორიას და თამაზ კვაჭანტირაძეს". _ განაცხადა წამყვანმა.

"სამტრედიის მაცნე" გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, დავით მანჯგალაძეს გაესაუბრა: "ვარ ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სემინარიის სტუდენტი. ასევე ვთამაშობ სამტრედიის ნაკრებ "ინტერსტელარში", მე-9 კლასიდან ვთამაშობ ამ თამაშს, მერე მცირეოდენი წყვეტა მქონდა, გვაქვს სხვადასხვა დონეზე წარმატებები, მაგრამ სულ სხვაა, როცა ახლო გარემოში და მეგობრებთან თამაშობ. შევკრიბე გუნდი და მადლობა ჩემს მეგობრებს, ამ ბიჭებს, ეს გამარჯვება გუნდის დამსახურებაა, ძალიან კარგი შეკითხვები იყო. ასევე მინდა მივულოცო "ბრეინ-რინგის" გამარჯვებულ მესამე სკოლას, ამ სკოლამ დაამტკიცა, რომ არაფერია შეუძლებელი და მოუგო ძალიან ძლიერ გუნდებს".

ზეპირსიტყვიერი მათემატიკოსი

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი რუბრიკის "პროფესია" სტუმარი 43 წლიანი სტაჟის მქონე მათემატიკოსია. ბატონი ჯუმბერ ლაგაძე მეორე საჯარო სკოლაში მე-8-მე-9 და მე-12 კლასებს მათემატიკას ასწავლიის. ეს პედაგოგი ტიპიური ნიმუშია იმისა, რომ განათლებას ასაკი არა აქვს. მისი ნიჭიერება, საღი აზროვნება და პროფესიონალიზმი ახალი თაობის ბევრ წარმომადგენელს შეშურდება. იგი ქართველ პედაგოგთა კოპორტის ის საუკეთესო წარმომადგენელია, რომელმაც სერტიფიცირების გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ბრწყინვალე პროფესიონალს არაერთხელ ნახავთ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში. უყვარს მხატვრული და ისტორიული ნაწარმოებების კითხვა, ინტერესით ეცნობა პერიოდულად პრესასაც, ოღონდ, ამბობს, რომ ბოლო დროს ბეჭდურ მედიაში მოძალებულმა ცილისმწამებლურმა განცხადებებმა ინტერესი გაუნელეს პრესის მიმართ.

ამ ადამიანმა ისე გამოიარა რამდენიმე პოლიტიკური სისტემა, პარტიაში არ შესულა. 1975 წელს, კამჩატკაზე მომხდარ ინციდენტს იხსენებს, როცა საველე მეცადინეობის დროს ერთ-ერთი, ფეხებმოყინული ჯარისკაცი კარავში შეიყვანა, თბილ საწოლზე წამოწოლილმა ლეიტენატმა კი განაცხადა თურმე: "ეს ყველაფერს გაუძლებსო". მის დაჟინებულ მოთხოვნაზე, ვერ გაუძლებს ფეხს მოაჭრიანო! ლეიტენატს უპასუხნია: ფეხის მეტი რა არის ამ ქვეყანაზეო! ამის მერე ჯუმბერ ლაგაძემ პარტიულ კრებაზე განაცხადა, რომ ვერ შევიდოდა იმ პარტიაში, რომლის წევრი ლეიტენატიც ჯარისკაცს კარვიდან აგდებდა! ზეპარტიულმა მათემატიკოსმა ერთადერთხელ დაუჭირა მხარი პარტიას, ეს იყო ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ძალა, რადგან მიაჩნდა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ გამოაღვიძა ერი.

"სამტრედია მათემატიკოსების სამშობლოა, ვარიაციათა აღრიცხვის ფუძემდებელი, ანდრია რაზმაძე იყო სოფელ ჩხენიშიდან, მისი შრომებით დღესაც უამრავი უნივერსიტეტი და სასწავლო ცენტრი მუშაობს. ასევე სამტრედიული ფესვების მქონეა გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც დისერტაცია საფრანგეთში დაიცვა. ის იყო დიდი მათემატიკოსი. ჩვენი თანამედროვე, როინ ნადირაძე თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთ წამყვან და ურთულეს დარგში, ტიპოლოგიაში მუშაობდა და თვითონაც წამყვანი მეცნიერი იყო. მოღვაწეობდა აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის სამეცნიერო ცენტრებში. ჩვენს ქვეყანაში თითზე არიან ჩამოსათვლელნი დიდი მათემატიკოსები: ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ანდრია რაზმაძე. თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრა სწორედ ამ ადამიანებმა დააფუძნეს, შემდეგ კი ამ ბაზაზე მათემატიკური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ეს იყო უძლიერესი სამეცნიერო კერა, რომელიც შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა გააუქმა". _ ასე იწყებს ჩვენთან საუბარს ბატონი ჯუმბერი.

ის დაიბადა სოფელ გადიდში, დაამთავრა სოფელ სულორის საჯარო სკოლა. იხსენებს, როგორ უვლია 4 კილომეტრი სკოლიდან სახლამდე, მაგრამ გაკვეთილმოუმზადებელი არასოდეს მისულა. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტდამთავრებული სოფელ ნოღაში გაანაწილეს და ორი წლის განმავლობაში იქ ასწავლიდა, მერე სამხედრო სამსახური მოიარა, იქიდან დაბრუნებული მე-2 საჯარო სკოლაში აგრძელებს მუშაობას და დღემდე იქ არის. ამბობს, რომ ისე გაუმართლა დირექტორებსა და პედაგოგებში, რომ იქიდან წასვლა არც უფიქრია. ამჯერად მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ასაკშია, შემართებით და ენერგიით აგრძელებს მუშაობას. "როცა ვიგრძნობ, ძალა გამომელია, თავადვე დავტოვებ სკოლას"-ო, ამბობს. ბატონმა ჯუმბერმა 2011 წელს ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა პროფესიასა და უნარებში.

ჩვენს კითხვაზე, არის თუ არა აუცილებელი, პედაგოგმა გამოსცადოს თავისი თავი, ის პასუხობს: "ყველა პედაგოგი უნდა ცდილობდეს, არ ჩამორჩეს დროს, უნდა აუწყოს ფეხი მას. არც ეროვნული ინტერესები უნდა დაგვავიწყდეს და ქვეყნისათვის საჭიროება იმ პროფესიებისა და მიმართულების, ჩვენს ქვეყანას რომ გამოადგება".

პედაგოგი გულისტკივილით განიცდის იმასაც, რომ ბევრი განათლებამიღებული დღეს უმუშევარი დადის: "მშობლებს ფულს სძალავენ და ინსტიტუტს ყველას ამთავრებინებენ, არადა, ყველაზე წარჩინებულებმა უნდა ისწავლონ. განათლებულთა მხოლოდ 50 პროცენტი იქნება ღირსეული კადრი". _ მიიჩნევს ის.

თავისი მრავალწლიანი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში იხსენებს ერთადერთ განსაკუთრებულ მოსწავლეს, ქეთევან ბოდოკიას, რომელიც შემდეგ ავტოკატასტროფას ემსხვერპლა.

რაც შეეხება სასწავლო პროგრამებს, ბატონი ჯუმბერი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოები კრიტიკას ვერ უძლებს: "ისეთი რამეები დაამატეს, რაც ბავშვის ცნობიერებას და პროფესიულ განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. საბჭოურ სკოლებშიც ისწავლებოდა ბევრი ზედმეტი საგანი, მაგრამ ახლა არასაჭიროსთან ერთად ბევრი საჭიროც ამოიღეს სახელმძღვანელოებიდან და ბევრი ზედმეტიც ჩადეს შიგნით. ისინი გაჯერებულია კომბინატორიკის ელემენტებით. რაც პროგრამის მესამედს მოიცავს, უნდა დატოვონ საჭირო, აუცილებელი რაც არის, ზედმეტი მოაშორონ".

როგორ უნდა გაიაროს ბეწვის ხიდზე კარგმა მასწავლებელმა, რომ საფუძვლიანი ცოდნა მისცეს მოსწავლეს ამ სახელმძღვანელოებით? ამ კითხვაზე ჩვენი რესპონდენტი პასუხობს:

"თითქმის ყველა ბავშვი ემზადება. ისე უკულმაა შედგენილი პროგრამა, რომ არ მოემზადონ, გაუჭირდებათ სწავლა. მაგალითად, მაჩვენებლიანი და ლოგარითმული განტოლებები სკოლაში არ ისწავლება, ისღა დარჩენია მშობელს, ბავშვი რეპეტიტორთან გაუშვას. არადა, ის, რაც სკოლაში არ ისწავლება, მისაღებ გამოცდებზეც არ უნდა მოითხოვონ. ყველა ამ პრობლემას მოაგვარებდა სკოლა, სახელმწიფო ბოლომდე რომ ზრუნავს სკოლაზე. ევროპისკენ კურსის აღება არ ნიშნავს იმას, 2 სიტყვა რომ სთქვა გუშინ ვიღაც ხასიათზე მოსულმა მოლექსემ, მისი მოთხრობები და ლექსები ჩავყაროთ სახელმძღვანელოებში. მათემატიკაში პროგრამა გაბერილია, საათები _ შემცირებული. მე-10-მე-12 კლასებში შედარებით მეტი საათი ეთმობა მათემატიკას, ვიდრე სხვა მაღალ კლასებში. მე-8 და მე-9 კლასებში საათები და პროგრამა ერთმანეთს ვერ "ეწყობიან". ყოველდღიურად უნდა ახალი ახსნა. არის თემები, რომელთაც ერთი გაკვეთილი არ ჰყოფნის, მოკლე დროში გავლილი და მიღებული ცოდნა კი არ არის მყარი, როცა ცოდნა მყარი არაა, საგანი მალე გავიწყდება. დაბალ კლასებში შედარებით უკეთაა საქმე. პროგრამები აუცილებლად უნდა შეიცვალოს, განაცხადა ქალბატონმა თამარ სანიკიძემ, ეს დადებითი მომენტია, არც საგნის მასწავლებლებს მოსწონთ ის წიგნები, რომლითაც ასწავლიან. ეს კი მაშინ შეიცვლება, თუ იმ ადამიანთა გუნდს მიანდობენ ამ საქმეს, ვისაც საქართველო უყვარს და კარგადაც იცნობს იმ მიმართულებებს, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ჩვენ შესანიშნავი ბავშვები გვყავს, ნიჭიერები".

ბატონი ჯუმბერის თქმითვე, კარგი იქნება, თუ მათემატიკურ ტურებში მონაწილეობაც საინტერესო და პრესტიჟული გახდება. "წინათ რესპუბლიკური ოლიმპიადის ფინალურ ტურში მოხვედრილი მოსწავლეები ინსტიტუტებში ირიცხებოდნენ. ახლაც უნდა მისცენ მეტი სტიმული ახალგაზრდებს, კარგი, ფინალური ტურის მონაწილეებს ნუ ჩარიცხავ, მხოლოდ გამარჯვებული ჩარიცხე!" ამით ხომ მოსწავლესაც და მასწავლებელსაც მოტივაცია უმაღლდება!" _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი. ვერც სკოლაში კაცი მასწავლებლის ფაქტორზე საუბარს ავცდით. თანაც, კაცი მათემატიკოსი არცთუ ბევრია. ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ საუკეთესო პედაგოგი მალხაზ ჯინჭარაძე და მისივე საუკეთესო მეგობარი, მურმან კაშია დღეს კომაროვის სკოლაში ასწავლიან. რეზო მუქერია სკოლიდან გავიდა და კერძოდ მუშაობს. მე-3 სკოლაშია გულივერ მესხი, იური ბრეგაძე ნოღის საჯარო სკოლაში სასწავლო ნაწილიც არის და პედაგოგიც. მე-11 საჯარო სკოლაში არის ასევე ახალგაზრდა ზაალ კანდელაკი და მე-11-ში მურთაზ კალაძე. სკოლამ უნდა შეუქმნას პირობა მასწავლებელს იმისა, რომ ის სახლში არ იწყებდეს რეპეტიტორობას და ბავშვებს ცოდნა სკოლის კედლებშივე მისცეს".

ჯუმბერ ლაგაძის პიროვნების მახასიათებლად მის მიერ ციტადად მოხმობილი ისააკ ნიუტონის სიტყვები გამოდგება. "მე თუ სხვებზე შორს ვიხედები, ეს იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე ვიჯექი". ნიუტონი მიიჩნევდა, რომ თუ წარმატებული იყო, ეს მისი წინა მორბედი მეცნიერების დამსახურებით.

ბატონ ჯუმბერს ჰყავს მეუღლე, დარეჯან კალანდარიშვილი და ორი ვაჟი, ისინი წარმატებული ახალგაზრდები არიან.

მარიამ თადუმაძე _ საერთაშორისო პროექტის მონაწილე

ნათია ნაცვლიშვილი

ამ საერთაშორისო პროექტში საქართველოდან 6-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი თანაქალაქელია, რომლის სხვადასხვა მიღწევაზეც წარსულში არაერთგზის დაგვიწერია. № 1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე მარიამ თადუმაძე სულ ახლახან დაბრუნდა იტალიის დედაქალაქიდან, სადაც მან, როგორც ამ მნიშვნელოვან პროექტში გამარჯვებულმა შემოქმედებითი მუშაობა გასწია. იტალიიდან დაბრუნებული მარიამი რედაქციაში გვწვია და ამ საინტერესო მოგზაურობაზე გვესაუბრა.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "რუმინ 2015" აწყობს მსოფლიო ახალგაზრდულ ბანაკების ცენტრს ყველა ქვეყანაში. ამ ორგანიზაციას საქართველოში აქვს ფილიალი. ის ყველა ქვეყანაში ახორციელებს გაცვლით პროექტებს. ამჯერადაც გამოცხადდა კონკურსი პროექტის "რუმინ 2015" ფარგლებში. საინტერესო შეხვედრები რომში მოეწყო.

მარიამ თადუმაძე: "ეს პროექტი ეხება მსოფლიოს განუვითარებელი ქვეყნების პრობლემებს, მონაწილეები სხვადასხვა პრინციპით შეირჩევიან. ლოტოტრონის პრინციპით შეარჩიეს ქვეყნები, მომიწია სამხრეთ სუდანის პრობლემატიკაზე მსჯელობა, მოხსენების მომზადება. ამ ქვეყნისთვის მთავარი წყლის პრობლემაა, უნდა მემსჯელა, რა რესურსი აქვს მას, ისეთი, რომ შეძლოს მისი ამ პრობლემის მოგვარება. ვისაუბრე იმაზე, რომ ეს ქვეყანა დიდი რაოდენობით ზეთს აწარმოებს და მას შეუძლია, მისი მსოფლიო ბაზრისთვის მიწოდება. პროექტის შესახებ სოციალურ ქსელ ფეისბუქით შევიტყვე, გავიარე სხვადასხვა ეტაპები, დავწერე სამოტივაციო წერილი ქართულ და ინგლისურ ენებზე, საბოლოო შერჩევამდე კიდევ ერთი გასაუბრება გავიარე. საქართველოდან ჩემთან ერთად იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 და თავისუფალი უნივერსიტეტის 2 სტუდენტი. ეტყობა, ვინაიდან რაიონიდან ვიყავი, პრიორიტეტი იმიტომაც მომანიჭეს. საქართველოდან ჩასულ ბავშვებს მოგვიწია, ახალგაზრდული სამიტის ეკონომიკის კომიტეტში მოხვედრა, შეკითხვები დაგვისვეს ამ თემაზე. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაზე ხშირად მქონია, შეხება ეკონომიკის საკითხებთან 2-3 თვიანი ეკონომიკის კურსები გავიარე თავისუფალ უნივერსიტეტში. ეს ცოდნა გასაუბრების ეტაპზე ძალიან მომეხმარა".

მარიამმა იმოგზაურა ვენეციაში, რომში, ფლორენციაში, ბოლონიასა და ვატიკანში. სასწავლო ტურის შემოქმედებითი გასვლა კი ბოლონიის უნივერსიტეტში მოეწყო. დაფინანსებას 80% პროექტის მესვეურებმა დაფარეს, 20 პროცენტი კი მონაწილეებმა გაიღეს. პროექტის ფარგლებში გატარებულ 10 დღეს მარიამი შინაარსიანად და სანტერესოდ მიიჩნევს:

"6 დღე გავატარეთ რომში, დარჩენილი დღეები შემოქმედებით ტურს მიეძღვნა. დილიდან ვიკრიბებოდით კომიტეტებში. ჩვენს კომიტეტს ყოფნა თავდაცვის სამინისტროში მოგვიწია, პროექტის პირველ დღეს დარბაზში 700 ადამიანი ვიყავით, თითოეულ კომიტეტში 80-მდე ახალგაზრდა იყო გაწევრიანებული. სულ 10 კომიტეტი მუშაობდა. ამ დღეს შევხვდით მაღალი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეებს, თავდაცვის მინისტრს, ნობელის პრემიის 3 ლაურეატს, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ლექტორებს, ეს იყო ძალიან წარმომადგენლობითი საზოგადოება. საინტერესო იყო, როგორ მსჯელობდა ქალთა უფლებებზე ჩადრიანი გოგონა.

ყველამ ერთობლივი რეზოლუცია მოვამზადეთ, რომელსაც შემდეგ კენჭი ვუყარეთ და მივიღეთ. შემდეგ შევხვდით პროექტის დამფუძნებლებს".

მარიამი განსაკუთრებული კმაყოფილებით საუბრობს იტალიის სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებზე: "რომის კოლიზეუმი, ვენეციის მოედანი, ბოლონიის უნივერსიტეტი, გული მწყდება ფლორენციაში დავითის ქანდაკება რომ ვერ ვნახე. რომში რომ დადიხარ, გგონია, იმ საუკუნეში მოგზაურობ, როცა ქალაქი დაარსდა. ვიწრო ქუჩები, მოპედები... სწორედ ისეთივე სურათია, იტალიურ წიგნებიდან რომ გვახსოვს, ეს იყო ნამდვილად კულტურული შოკი. საუკეთესო იყო ვატიკანის მუზეუმი, მე და სიქსტეს კაპელა ერთ ოთახში რომ აღმოვჩნდი, ცრემლები ვერ შევიკავე, მეგონა, დრო გაჩერდა".

რასაკვირველია, ნებისმიერი მოსწავლეებისთვის მსგავს პროექტში მონაწილეობა ბევრის მომცემია. მარიამიც არ არის გამონაკლისი. ამ პროექტის მონაწილე ბავშვებს რომ ვხედავდი, ვრწმუნდებოდი, რომ ისინი მალე საკუთარი ქვეყნების ლიდერებად მოგვევლინებიანო, გვითხრა მარიამმა. ჩვენს კითხვაზე, მომავალში ხომ არ აპირებს, ქართული პოლიტიკის უსასრულო ლაბირინთებს ისიც შეუდგეს, გვითხრა, რომ სავსებით შესაძლებელია. მას სამომავლოდ არჩეული აქვს ფაკულტეტი: მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები. "ეს ფაკულტეტი, არის თავისუფალ უნივერსიტეტში. ევროპიდან მოდის და მას იქ ლიბერალური განათლება ჰქვია. ძირითადად, პოლიტიკით ამთავრებს ყველა, ვინც ამ ფაკულტეტს ირჩევს. _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

შრომისმოყვარე და ნიჭიერ მოსწავლეს გულწრფელად ვუსურვებთ, კიდევ არაერთ საინტერესო პროექტში გამარჯვებას და თუ ის მართლაც პოლიტიკის ლაბირინთებით აღსავსე გზას აირჩევს, მართლაც ღირსეული ქალი პოლიტიკოსის სახელი დაემკვიდრებინოს. ზნეობა და პოლიტიკა ხომ ცოტა არ იყოს, ერთმანეთს დაშორდნენ, ქართულ პოლიტიკას კი ჯანსაღი და წესიერი კადრები მართლაც წყაროსავით სჭირდება!

"... ღა ფუბღეზე გაგნღნენ ტმკის ბზაკენბი"

ნათია ნაცვლიშვილი

"შენ ცისფერ ეტლებს მიმეც მსახურად, მიფრინობენ სიზმრებს შლეგა ქარები, მე თავზე ეკლის ჯიღა მახურავს და შეშლილს მიგავს ხშირად თვალები" _ პოეტის ამ ლექსს, დედისადმი მიძღვნილ ამ პოეტურ აღსარებას ისევე მოჰყვა აპლოდისმენტები, როგორც თემურ ჩალაბაშვილის მიერ წაკითხულ სხვა ლექსებს. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მცირე, მაგრამ ინტელექტუალური დარბაზი სმენად იყო ქცეული. პოეტები თემურ ჩალაბაშვილი და ედვარდ უგულავა თავიანთ შემოქმედებას აცნობდნენ მკითხველებს.

ამ საინტერესო შეხვედრას ორგანიზება მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურმა გაუწია. ჩვენი მეზობელი მუნიციპალიტეტის, ხონის მკვიდრი ედვარდ უგულავა ბევრისთვის აღმოჩენა იყო. მისი პატრიოტული ლირიკა საოცრად სუფთაა და შთამაგონებელი. პოეტს საკუთარი დედაც ახლდა თან, ქალბატონი გულიადა უგულავა, რომელმაც შესანიშნავად წაიკითხა როგორც საკუთარი შვილის, ისე თემურ ჩალაბაშვილის პოეტური მარგალიტები.

სტუმრად გვყავდნენ ხონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც ასევე ბრწყინვალედ წაიკითხეს პოეტების ლექსები. განსაკუთრებული ემოცია მოჰგვარა დარბაზს ლექსმა ქეთევან დედოფალზე "ო, დედოფალო", რომელმაც წმინდა ნინოს ჯვარი დაიმსახურა. ასევე იქნა წაკითხული ედვარდ უგულავას ულამაზესი ლექსი გალაკტიონზე: "მერე თავად გამოაღო ფანჯარა და მშფოთვარედ ცისკენ გადააბიჯა".

განსაკუთრებული პატივისცემით მიესალმა პოეტს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ლეჟავა, მან თემურ ჩალაბაშვილს მიმართა: "თქვენ იმ დროს დაწერეთ ულამაზესი ლექსი სანთელზე: "გყოლია მრევლი ხელაპყრობილი, შენც შეგინახავს ეს საქართველო", როცა სანთლის ხელში დაჭერას უკრძალავდნენ ქართველებს, სწორედ თქვენს პატრიოტულ ლირიკაზე უნდა აღიზარდონ თაობები საქართველოში, "ღმერთო კი მომკალ, როცა ქართველი არ წაიკითხავს "ვეფხისტყაოსანს", _ ამბობთ თქვენ. დღეს მართლაც შემცირდნენ "ვეფხისტყაოსნის" წამკითხველები საქართველოში, არადა, თუ ამ წიგნს მართლაც გაითავისებენ ქართველები ნაკლები იქნება ჩვენში ბოროტება. თქვენ უნივერსიტეტის ე. წ. მეამბოხე სტუდენტთა ჯგუფში იყავით ამირან კოხრეიძესთან, ფირუზ მაჩურიშვილთან, თემურ ნუცუბიძესთან, თემურ ქორიძესთან ერთად. მადლობა თქვენ, რომ მოგვეცით საშუალება, უშუალოდ გესაუბროთ და მოვისმინოთ თქვენი პოეტური მარგალიტები, ბატონი ედვარდი ჩემთვის აღმოჩენაა, მადლობა, რომ ასე ლამაზად, ტკივილით და განცდით წერთ ერსა და ქვეყანაზე".

თემურ ჩალაბაშვილმა ასევე დიდი სიყვარულით გაიხსენა თემურ ნუცუბიძე და მისდამი მიძღვნილი ლექსიც წაიკითხა. მანვე დიდი სითბოთი მოიხსენია კრიტიკოსი და ლიტერატორი, ჩვენი თანაქალაქელი თემურ ქორიძე, მისივე თქმით მის ერთ-ერთ პოეტურ კრებულს მალე თემურ ქორიძის წინასიტყვაობა ექნება.

"ჩვენი თაობა მწერალთა კავშირს ისე ჩაუვლიდა როგორც ღვთის სახლს, დღეს კი "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე არ დაესვა წერტილი რევაზ მიშველაძის და თამაზ წივწივაძის ორთაბრძოლას, ხომ შეიძლება ამ გაზეთმა აქცენტი უფრო დიდ ფასეულობებზე გააკეთოს, სწორედ თქვენნაირთა შემოქმედების მეტი პოპულარიზაციაა საჭირო". _ აღნიშნა ჩვენმა კოლეგამ, ლევან გაბეჩავამ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა და კულტურის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ ასევე მადლობა გადაუხადეს სტუმრებს. "არაჩვეულებრივი დღე იყო. ეს იყო სულიერი საზრდო, ცხოვრება თავის მორევში გითრევს და პოეზიისთვის არა გვცალია". _ განაცხადა ლიზა კრავეიშვილმა.

ნატალია მანჯგალაძე; "ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით, თუკი ასეთი სულიერი საზრდო მივაწოდეთ ამ საზოგადოებას, ასეთ შეხვედრებს აუცილებლად გავაგრძელებთ"...

თემურ ჩალაბაშვილის ლექსებმა უკვე გაიკვლიეს გზა ქართველი კაცის გულებამდე. ამის შესანიშნავი დემონსტრირება დარბაზშივე მოხდა, როცა სტროფებს "გაგითავისე, მიყვარდი, მწამდი, ჩემი ოცნება შენს აჩრდილს სდევდა"... დარბაზში მსხდომნი აჰყვნენ. ანალოგიურად აჰყვნენ პოეტს და ერთად წარმოსთქვეს სიტყვები: "ო, დედოფალო, სხეული გტკივა, თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!"

უამრავი თბილი ლექსი წაიკითხა პოეტმა მიძღვნილი ქართველი ერის ღირსეული შვილებისადმი. განსაკუთრებულად კი ის დღე გაიხსენა, როცა უნივერსიტეტის ხალხით გადაჭედილ დიდ დარბაზში მის მიერ წაკითხულმა მირზა გელოვანისადმი მიძღვნილმა ლექსმა მირზას დის მოწონება დაიმსახურა.

არგონავტების ნაკვალევზე

1984 წლის 3 მაისს საბერძნეთის ზღვისპირა ქალაქ ვოლოსში სტარტი აიღო ხომალდმა "არგომ" _ საუკუნეებს გამოვლილი ოქროს საწმისის შესახებ მითისა და სინამდვილის საზღვარზე მოგზაურობისათვის.

ახალი არგონავტების ექსპედიციამ დიდი მანძილი გადალახა. 16 მეტრი სიგრძის, 3 მეტრი სიგანისა და 1,7 მეტრი სიმაღლის ანძის მქონე ხომალდმა, რომელსაც 20 ნიჩბოსანი ატარებდა, იცურავა სხვადასხვა ქვეყნების გასწვრივ, ძველი არგონავტების მარშრუტის დაცვით და კოლხეთის ნაპირებს მოადგა. "აქ ჩაუშვა ღუზა ინგლისელი ტიმ სევერინის საექსპედიციო ხომალდმა "არგომ", რომელმაც 33 საუკუნის შემდეგ გამოიარა არგონავტების ნაკვალევზე და მშვიდობით მიაღწია კოლხეთს". _ ამას გვამცნობს ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში, დიდი გალაკტიონის ძეგლთან ახლოს აღმართული ქვის სტელაზე ქართულად, რუსულად და ინგლისურად გაკეთებული წარწერა, რომელიც ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ საინტერესო მეცნიერულ ექსპედიციას ეძღვნება. ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა განახორციელა კაცობრიობის დიდი ხნის ჩანაფიქრი. "არგომ" ღუზა ვანის რაიონში ჩაუშვა.

თავის დროზე ექსპედიციისადმი დიდ ინტერესს იჩენდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა. სწორედ ამ მითსა და სინამდვილეზე იყო საუბარი 20 ნოემბერს გაზეთ "სამტრედიის მაცნეში" გამოქვეყნებულ ჩვენი თანაქალაქელის, გია ბოჭორიშვილის წერილში, სადაც ის მიანიშნებდა ტურიზმის განვითარებისათვის სამტრედიის ჩართულობას, როგორც ტურიზმის მაგისტრალური გზაგამტარის მნიშვნელობაზე ევროპიდან _ საქართველომდე. სასურველია, ამ საკითხით დაინტერესდეს საპარტნიორო ფონდი, რომელიც მრავალმილიონიან პროექტებს აფინანსებს.

უპრიანი იქნება, სამტრედიის რაიონის ხელისუფლებისა და ჩვენი დეპუტატის ძალისხმევა საკითხისადმი.

გაქუცა ფრანგიშვილი

მაღე ახალი წელი მათ ოცნებებს აასფეთქებს

მე-4 ბაგა-ბაღში ვართ, საახალწლო ნაძვის ხის გარშემო შარლ პეროს უკვდავი "წითელქუდას" მთელი შემადგენლობა შეკრებილა. მგელი აქ არის, მელაკუდაც, კეთილი მონადირეებიც, საგანგებოდ დადგმული ქოხის ბუტაფორია მიგვანიშნებს, რომ შიგ ბებია წევს, მგელმა რომ უნდა გადასანსლოს. აი პატარებიც მოვიდნენ, პედაგოგ ნატო კოხრეიძის აღსაზრდელები (აღმზრდელი თანაშემწეები ხათუან კოხრეიძე, ნორა მანჯგალაძე). სიცოცხლე და ჟრიამული შემოიტანეს დარბაზში, ისინი 4 წლისანი არიან და მშობლებს ჰგონიათ, წლეულსაც ისე აცრემლდებიან, გასული წლის საახალწლო ზეიმზე რომ ატირდნენ, მაგრამ არა, უკვე საოცრად დინჯად მოირგეს როლები, საოცარი არტისტობით განასახიერეს ყველა პერსონაჟი. იმღერს, იცეკვეს, თოვლის ბაბუას მოლოდინში ეშხი და ლაზათი ემატება სიმღერას, ვიდრე ბაბუა ხურჯინიდან მათ საყვარელ ტკბილეულს ამოარიგებს, ბაღის მმართველმა ნანა დუნდუამ ზუსტად არ იცის, უკვე მეარმდენე თაობას ესალმება და სიმღერით ეფერება. ერთობლივი სიმღერა იმღერეს. დედობრივი სიყვარულით დალოცა ქალბატონმა ნანამ პატარები და დარბაზში თოვლის ბაბუა შემობრძანდა. სიყვარულის, სიხარულის, ხვავის, ბარაქის, ბედნიერების წელი უსურვა პაწაწინებს ხურჯინიდან ნუგბარი ამოულაგა და მომავალ წლამდე დაემშვიდობა პატარებს.

ბაბუა სიმღერით გააცილეს და ახალი წლის შემობრძანებას დაელოდნენ... რათა დამდეგმა ახალმა წელმა ნაძვის ხის სათამაშოებივით ააფერადოს მათი ვარდისფერი ოცნებები.

ნათია ნაცვლიშვილი

ლეგენდარული ნონა

ნონა გაფრინდაშვილი _ მსოფლიო ჭადრაკის ცოცხალი ლეგენდა, განსაკუთრებული ქართული ფენომენი, რომელმაც კვლავ გაახარა ქართული საჭადრაკო სამყარო და ვეტერან ქალ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. და ეს ხდება ხანდაზმულობის ასაკში, ქალბატონი ნონა კვლავაც გამოირჩევა აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით, მიზანსწრაფვით, გულწრფელობით, თავმდაბლობითა და მებრძოლი ხასიათით.

სამტრედია ერთ-ერთი პირველი გახლდათ მისი მსოფლიო ჩემპიონობის სიხარულის მოზიარე. მის შესახვედრად რკინიგზის სამტრედიის ვაგზალზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა, გამარჯვებას ყვავილებიც ზეიმობდნენ.

მახსენდება 1969 წლის მაისი. მე მაშინ რაიონის ახალგაზრდობის ლიდერი გახლდით. ქალბატონი ნონა თბილისი-მოსკოვის მატარებლით სამშობლოში როცა გამარჯვებული ბრუნდებოდა, ამის შესახებ საღამოს გვიან გავიგეთ, აქტივისტებთან დაკავშირება სპონტანურად მოვახერხეთ, სასიხარულო შეხვედრის მოლოდინმა სამტრედია სწრაფად მოიცვა. დილის 6 საათზე რკინიგზის ვაგზალი გულშემატკივრებს ვერ იტევდა, განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობდნენ, ვარდები მეფობდნენ ჭადრაკის დედოფალთან ერთად. მარწყვი თავისი მიწითა და ნაყოფით პატარა ზომის სახელდახელოდ დაწნული კალათებით და სპეციალური საცრებით, იმერული სტუმარ-მასპინძლობის პეწით ხელდამშვენებული ახალგაზრდები ქართველი ერის სახელოვან შვილს, მესამედ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინოსანს უდიდესი სიყვარულით ხვდებოდნენ, რომელიც მასპინძლებს მადლიერებით პასუხობდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ქალბატონ ნონას რეგალიებს ვინ ჩამოთვლის... 1962-1978 წლებში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ქალ მოჭადრაკეთა შორის, 11-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ქალი მსოფლიოს მოჭადრაკე მამაკაცთა შორის, პირველი ქალი ოსკარის მფლობელი და მრავალი სხვა...

ღირსეულმა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა პოლიტიკაშიც მოსინჯა ძალა, მაგრამ, ვაი, რომ ადამიანების წყალობით მას გული ატკინეს. ქალბატონი ნონა საქართველოს ტელევიზიით გულშემატკივრებმა პირველად ვნახეთ ძალიან აღელვებული და ცრემლმორეული, როცა საქმე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობიდან ბატონ ბადრი პატარკაციშვილის განთავისუფლებას ეხებოდა. დიახ, მან ვერ დაივიწყა თუნდაც ქართულ სპორტთან დაკავშირებული საქველმოქმედო მხარდაჭერები, ურთულეს კრიტიკულ პერიოდში მსოფლიო ოლიმპიადაზე ქართული სპორტული დელეგაციის გამგზავრების ფინანსური უზრუნველყოფა რომ შეძლო. ქალს მადლიერება და სიწრფელე განსაკუთრებით ამშვენებს. ეს თქვენ ხართ, ქალბატონო ნონა!

სამტრედიელებს არ ავიწყდებათ სარაიონო კულტურის სახლში 1969 წლის 27 ივნისს თქვენთან შეხვედრის ამაღელვებელი წუთები. არც ის, თქვენ საჭადრაკო კლუბის საძირკველს პირველი ბარი რომ დაჰკარით, ამ წერილის ავტორს კი თქვენთვის სასურველი მასპინძლების, დავით ნიკოლაიშვილის და თალიკო მიქაძის ოჯახში თქვენს პატივსაცემად გამართული წვეულება, რომელიც გამოირჩეოდა იმერულ-მეგრული ტრადიციით, უშუალობით და სიყვარულით.

ქალბატონო ნონა, ვერ წარმოიდგენთ, მაგრამ მახსოვს, როგორი აზარტით თამაშობდით მაგიდის ჩოგბურთსა და ბილიარდს მაჩაბლის ქუჩაზე, ძლიერ მეტოქეებთან გიყვარდათ პაექრობა. ჩემს კოლეგებთან ერთად მეც მქონდა ბედნიერება, თვალი მედევნებინა და მექომაგა თქვენთვის. თქვენ ხომ ტოლს არ უდებდით იმ დროის რჩეულ ახალგაზრდებს. ისინი ამის შესახებ დიდი სიამაყით საუბრობდნენ. ვიცით, რომ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ხართ, ბავშვობაში ძმებთან და თანატოლ ბიჭებთან ერთად ფეხბურთს კარგად თამაშობდით, მაგრამ ასეთივე გატაცებით ნარდს თუ თამაშობდით, ეს არ ვიცოდით. ამ დღეებში სამტრედიის რაიონის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის, პანტელეიმონ გაგუას ოჯახში მოვიპოვე ფოტოსურათი, სანატორიუმ "ლიკანში" გადაღებული დამსვენებელთა შორის გამართულ პირველობაზე. ნარდში. ძალიან გავიხარე. ლამაზ წარსულთან და ახალგაზრდობასთან შეხვედრა, დარწმუნებული ვარ, თქვენც გაგახარებთ.

ქალბატონო ნონა, გულითადად გილოცავთ ახალ გამარჯვებას. საქართველოს ტელევიზიით გიხილეთ, სადაც ბრძანეთ, ტურნირებზე მივდივარ, ამით სიცოცხლეს ვიხანგრძლივებო. გამარჯვებები და სიხარული არ მოგკლებოდეთ. დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ თქვენ და თქვენს ლამაზ ოჯახს! 2016 წელი ხომ თქვენი საიუბილეო წელია, იდღეგრძელეთ, ჯანმრთელობა და მხნეობა, ოჯახური სითბო და ქვეყნის კეთილდღეობა დაგვილოცნია!

პატივისცემით
ნათელა გელეიშვილი

ანდეთ თქვენი შვილები მე-9 ბაგა-ბაღს

ნინო ნანიტაშვილი

წინასაახალწლო განწყობა სუფევდა ქალაქის მე-9 ბაგა-ბაღში. სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელები საკარნავალო ფორმებში გამოწყობილები უზარმაზარი ნაძვის ხის გარშემო იკრიბებოდნენ, ტკბებოდნენ ირგვლივ გამეფებული სილამაზითა და ტყის იდუმალებით, თანაც ზღაპრის გმირების დაგვიანებით სინანულს გამოთქვამდნენ.

მალევე შეიტყვეს, რომ ზღაპრის გმირებს საახალწლო კარნავალის შესახებ ინფორმაცია დაგვიანებით მიეღოთ. ხოლო როცა გაიგეს, უმალ სიხარულით გამოეშურნენ.

მე-9 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს რიგრიგობით მოაშურეს წითელქუდამ, მგელმა, დათვებმა და კურდღლებმა. ცბიერმა მელიამ, კომბლემ და ცხვრებმა. სად იყო და სად არა, კარნავალზე გამოჩნდა ფიფქია და 7 ჯუჯა, ბურატინო. საახალწლო ღონისძიება უფრო მიმზიდველი და შინაარსიანი რომ გამხდარიყო, საყვარელი ზღაპრის გმირების ფორმებში გამოწყობილმა პატარებმა ინსცენირებები გამართეს და მაყურებლის ტაშიც დაიმსახურეს.

მე-9 ბაგა-ბაღში იმ დღეს დაირღვა ტრადიცია: თოვლის ბაბუ კარნავალის ბოლოს კი არა, დასაწყისშივე შემოიყვანეს, რადგან მე-9 ბაგა-ბაღელებს, თავიანთი თანატოლების მსგავსად, ძალიან უყვართ საახალწლო საჩუქრები. სანატრელმა თოვლის ბაბუამ არც მათ დასწყვიტა გული: გემრიელი ტკბილეულით წინასწარ მიულოცა დამდეგი ახალი, 2016 წელი.

რამდენიმე ბაგა-ბაღში სტუმრობამ ნათლად დაგვანახა რეფორმა, რომელიც წინასაახალწლო ღონისძიებებში აშკარად შესამჩნევი გახდა. კერძოდ, 5-6 წლის გოგო-ბიჭები ასაკის შესაფერისად იყვნენ ჩაცმულები, გოგონები ზედმეტი მაკიაჟის გარეშე, სადა ვარცხნილობით. რეპერტუარიც მათი ასაკის გათვალისწინებით იყო შერჩეული. განსაზღვრული დროის დაცვით არც ღონისძიებები იყო დამღლელი და მოსაწყენი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა ახობაძე ამბობს, რომ ზემოაღნიშნული რეფორმა მან ამ თანამდებობაზე მოსვლის დღიდან შეიმუშავა: "დირექტორობამდე ბაგა-ბაღში აღმზრდელად ვარ ნამუშევარი. მაშინაც მომწონდა მოკლე საზეიმო საღამოების გამართვა. ამდენად, როცა დავინიშნე, მმართველებს მივეცი რეკომენდაცია, ღონისძიებები ყოფილიყო მცირე დროის, არ გადაშორებოდა 40 წუთს. ყოფილიყო ხარისხიანი და საინტერესო. დღეს მე-9 ბაგა-ბაღში თავად გახდით მოწმე იმისა, თუ რა ეფექტურია, როცა საახალწლო კარნავალი მოსაწყენი არ არის. სხვა დროს ბავშვებიც კი ვერ უძლებდნენ დაუმთავრებელ ღონისძიებებს. თავიდანვე გავაპროტესტე "ხაბარდა" კაბები, ზედმეტად შეღებილი 5-6 წლის გოგონები. ამდენად, იმის თქმა მინდა, რომ, როგორც დირექტორი, არ შემოვიფარგლებით მხოლოდ კვების და ინტერიერის მოწყობის საკითხებით. ბაგა-ბაღებში არანაკლებ მთავარია, სწორი აღზრდის მეთოდები. რაც შეეხება დღევანდელ, კარნავალს, მე-9 ბაგა-ბაღში ნანახმა წარმოდგენამ შემიქმნა შთაბეჭდილება რომ ეს სკოლამდელი დაწესებულება კარგ ფორმაშია. აქ მე დავინახე ჩემი მეთოდისტის, ნანა კორძაიას მიზანმიმართული მუშაობა. მსგავსი სურათი თითქმის ყველა ბაღში ვნახე".

თავიანთი შვილების და შვილიშვილების მხატვრულ შემოქმედებას აუღელვებლად ვერ ადევნებდნენ თვალს დედები, მამები, ბებიები და ბაბუები. ერთმა მათგანმა ჩვენი ყურადღება რეპლიკით მიიპყრო: "ანდეთ თქვენი შვილები მე-9 ბაგა ბაღს". ამ სიტყვების ავტორი 50 წლის ქალბატონია, რომელსაც თავისი ორი შვილიშვილი, საბა და სანდრო შენგელიები მე-9 ბაგა-ბაღში აღსაზრდელად დაჰყავს:

ნინო გუნია, საბა და სანდრო შენგელიების ბებია: "ამ ბაღში ყოველთვის ასეთი წარმატებული ღონისძიებები ტარდება, რაც ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის დამსახურებაა. განსაკუთრებით მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქეთევან რამინაშვილს, მუსიკის პედაგოგს, იგი ნამდვილი ხელოვანი ქალბატონია, რომელიც ბოლომდე იხარჯება ჩვენი შვილებისთვის. მიუხედავად დაღლისა, ამ ბავშვებმა ისეთი კარგი კარნავალი წარმოგვიდგინეს, არ მინდოდა დამთავრებულიყო ღონისძიება".

45 წელია, ქეთევან რამინაშვილი მე-9 ბაგა-ბაღში მუსიკის პედაგოგად მუშაობს. 4 ათეული წლის მანძილზე ქალბატონმა ქეთევანმა ამ სკოლამდელ დაწესებულებას დიდი ავტორიტეტი შესძინა. მის მიერ მომზადებული ღონისძიებები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალპროფესიონალიზმით.

მე-9 ბაგა-ბაღის საახალწლო კარნავალი მოამზადა პედაგოგმა ხათუნა შენგელიამ. აქტიურად იყო ჩართული მმართველი ნანა უგულავა.

ნანა კორძაია, მეთოდისტი: "მე-9 ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მოწესრიგებულობით, პეწით, ხარისხით. დღეს მათ კიდევ ერთხელ დაგვანახეს, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს აღმზრდელთა დაუღალავმა შრომამ. მინდა, ყველა პატარას მივულოცო დამდეგი 2016 წელი, ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა, უზრუნველი, ბედნიერი მომავალი".

თამარ ბიბილეიშვილმა 2015 წელი წარმატებით დაასრულა

2015 წლის 19-20 დეკემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, როგორც მამაკაცებში, ასევე მანდილოსნებში.

ქალთა შორის აბსოლუტური წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრმა, (სკოლის დირექტორი ვანო კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია) თამარ ბიბილეიშვილმა.

ჩემპიონატს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით, დიპლომებითა და ფულადი პრემიებით.

"სამტრედიის მაცნე"

"ჯიკო" ანგარიშს აბარებს

გუნდში მიმდინარე თაობათა ცვლის და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო "ჯიკომ" 2015 წელი მოთამაშეთა შორის ფუნქციების გადანაწილებითა და 2014-2015 წლების 24-ე ეროვნული ჩემპიონატის IIწრის შეხვედრებისთვის ინტენსიური მზადებით დაიწყო. მეორე წრის შედეგებით თბილისისა და ბათუმის გუნდებთან დამარცხების შემდეგ ისევ მესამე ადგილზე დარჩა. იგივე განმეორდა მესამე წრეშიც. ნახევარ ფინალური და ფინალური შეხვედრები გუნდმა ექვსაციანი შემადგენლობით ჩაატარა.

სერიოზულმა საწრთვნელმა მომზადებამ, მთავარი მწვრთნელის, ბატონ ნუგზარ მიქაძის გამოცდილებამ და ფრენბურთელთა თავდადებამ თავისი გააკეთა. ნახევარ ფინალში "ჯიკომ" შეძლო ბათუმის ძლიერი გუნდის დამარცხება ანგარიშით 3 : 0 და ფინალში გავიდა. ფინალში "ჯიკოს" თითქმის ცვლის გარეშე დარჩენილმა შვიდეულმა თავგანწირული ბრძოლა გაუმართეს თბილისის I გუნდს, მაგრამ, სამწუხაროდ, დამარცხდნენ ანგარიშით 2 : 3 და საბოლოოდ მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ.

"ჯიკოს" მთავარი მწვრთნელისა და მოთამაშეებისათვის წარმატებული იყო 2015 წელი იმითაც, რომ სამი ფრენბურთელი: ირინა კახაძე, ცარინა სანაძე და ჯულიეტა სანაძე ეროვნულ, ხოლო სოფიო ჩომახიძე ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. ჩვენი გუნდის წევრთა მონაწილეობით ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის შესარჩევ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა უნგრეთის, საბერძნეთის, თურქეთის, ისრაელის და პოლონეთის ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ, ხოლო ახალგაზრდული ნაკრები სპორტულ "ფესტივალში "თბილისი 2015" მონაწილეობდა. ევროპის შესარჩევ შეხვედრებში თურქეთის, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირებში და თბილისში ჩატარებულ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატში აზერბაიჯანის, ესტონეთის და ლიტვის ახალგაზრდული ნაკრებების დამარცხების შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

2015 წლის სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წევრთა ერთსულოვანი მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით "ჯიკოს" შემადგენლობას დაუბრუნდნენ მისი აღზრდილი ფრენბურთელები და განახლებულ გუნდში, რომელმაც 2015 წლის 1-6 დეკემბერს ქ. თბილისში 25-ე ეროვნული ჩემპიონატის I წრე მეორე ადგილით დაამთავრა, ირიცხებიან: ნონა ღვინჯილია _ გუნდის კაპიტანი, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ორჯერ საქართველოს წლის საუკეთესო ფრენბურთელი; ეროვნული ნაკრების წევრები: ირინა კახაძე, ცარინა სანაძე, ჯულიეტა სანაძე, ირინა ჭელიძე, მარიამ მუყასაშვილი; ახალგაზრდული ნაკრების წევრები: სოფიო ჩომახიძე, მზია ვაშაკიძე, გურანდა კვირნაძე. ეს ის თაობაა, რომელმაც 2016 წელს საქართველოს ჩემპიონობა უნდა დაუბრუნოს და მონაწილეობა მიიღოს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

საფრენბურთო კლუბი "ჯიკოს" ადმინისტრაცია და ფრენბურთელები გულითადად ულოცავენ მუნიციპალიტეტის მესვეურებსა და სამტრედიელ გულშემატკივრებს დამდეგ 2016 წელს.

ჯიგა განგაშვილაძე

ჭადრაკი

შესარჩევ პირველობაზე



გონივრული თამაშია ჭადრაკი. შორს წაგვიყვანს იმ ქართველთა, თუნდაც სამტრედიელთა ჩამოთვლა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციასა და განვითარებაში რომ შეიტანეს წვლილი.

სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) შესარჩევი პირველობა ჭადრაკში, ამავე სკოლის აღზრდილს, მსოფლიო ჩემპიონ მერი არაბიძეს მიეძღვნა.

დაძაბული, ლამაზი და საინტერესო თამაშის შემდეგ ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

12 წლამდე ასაკის ნორჩ მოჭადრაკეებში პირველი ადგილი ნინო ნაჭყებიამ, მეორე რეზო ხუჭუამ, მესამე კი ბექა გიორგაძემ დაისაკუთრეს.

10 წლამდე მოჭადრაკეებში ნინო მეფარიშვილი პირველ, ნიკო ბარდაკოვი მეორე, გიორგი ბურკაძე მესამე, ხოლო ლუკა ტუღუში მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

მარიამ გოთოშია პირველი, ლიკა ხუჭუა მეორე, რეზი გაბუნია მესამე, ხოლო ჭურკვეიძე ბეგი, მეოთხე ადგილს 8 წლამდე მოჭადრაკეებს შორის დასჯერდნენ.

პირველ ადგილზე გასულები თასებით, მედლებითა და სიგელებით, მეორე ადგილზე გასულები მედლებით, მესამეზე კი მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ნომინაციაში _ "10 წლიანებში სწრაფი მოჭადრაკე" თინათინ ღვინერია დაჯილდოვდა. ნომინაციაში _ "ყველაზე უმცროსი მოჭადრაკე" კი, 6 წლის ნატა გაბუნია.

მსგავსი შეჯიბრებები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პატარებში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას. _ განუცხადეს "სამტრედიის მაცნეს" მწვრთნელ-მასწავლებლებმა ბესო ლეჟავამ და ნინო ჯვარშეიშვილმა.

კომპლექსური სპორტული სკოლის სპეციალისტი ვახტანგ შანიძე აღიშნავს, რომ პირველობის მაღალ დონეზე ჩატარებას არა მარტო სპორტსმენები, მათი მშობლებიც ყურადღებით მოეკიდნენ, რაც მისასალმებელია.

ლევან გაბეჩავა

გიორგი მელია ახალგაზრდობის მიერის საჭიდაოს ჩემპიონია

24-დან 26 დეკემბრის ჩათვლით ქალაქ თბილისში სპორტკომპლექს "არენაში" ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობა გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა. გიორგი მელიამ წარმატებით იასპარეზა 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მან ოთხი ორთაბრძოლა გამართა და ოთხივეში დამაჯერებლად გაიმარჯვა. გახდა საქართველოს ჩემპიონი, მოიპოვა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობის უფლება.

ევროპის ჩემპიონატი რუმინეთში 2016 წლის 20-26 ივნისს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში 30 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.

გიორგი მელია ამჟამად სამტრედიის მკვიდრია, თუმცა წარმოშვებით აფხაზეთიდან დევნილი გახლავთ. მან მე-3 საჯარო სკოლა დაამთავრა. ოჯახთან ერთად ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებთან ერთად ცხოვრობს. ჰყავს დედა, ახალგაზრდა მამა 3 წლის წინ გარდაეცვალა, ჰყავს ერთადერთი ძმა, თემურ მელია, პროფესიით ექიმი.

19 წლის გიორგი მელია 11 წელია, რაც ჭიდაობს. თავიდანვე მას მწვრთნელი გიორგი ვახტანგაძე წვრთნიდა. მის სპორტულ დაოსტატებას დღესაც გიორგი ვახტანგაძე აგრძელებს. იგი გიორგი მელიას არა მარტო ფიზიკურად აყალიბებს, არამედ დღემდე გვერდით უდგას, როგორც მშობელი მამა. გიორგი მელიას საქართველოს ჩემპიონობა არაერთგზის მოუპოვებია. იგი სხვადასხვა დროს ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული გახდა.

ვეფხია სტურუა, კლუბ "ფალავანის" მთავარი სპეციალისტი: "გიორგი მელიას ბავშვობიდანვე ვიცნობ, როგორც ძლიერ, შრომისმოყვარე და ერთგულ სპორტსმენს. მისი მიღწევებით ძალიან ბევრჯერ გაგვიხარებია და ვამაყობთ კიდეც. ახალი გამარჯვება მინდა მივულოცო გიორგის, მის ოჯახს, მის მწვრთნელს გიორგი ვახტანგაძეს. ვუსურვებ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე საქართველოს ჰიმნის გაჟღერებას".

ნინო ნანიტაშვილი

უდიდესი თავმდაბლობით, სიყვარულით და მოკრძალებული გულისთქმით დაბადების დღეს ვულოცავ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

კვალავც დამოძღვრე ერი

კავკასიონის მკაცრმა ბუნებამ
ბევრი გასწავლა კარგი,
სწრაფად ხვდებოდი კაცის ბუნებას
იყო თუ არა კარგი.
გერგეთის მთიდან მონაბერ სიოს
თუკი იგრძნობდი ღამით,
ვიღაცა მაშინ შველას ითხოვდა,
არ აყოვნებდი წამით.
ბევრი გივლია გზა მოფენილი
ეკლებითა და ვარდით,
კაცი იყავი, გულთან მიგქონდა,
გაჭირვებულის დარდი.
ოცდათვრამეტი წელი გავიდა,
რომ ჩაგაბარეს ერი,
ბევრი გაზარდე კაცად აქციე
და შეაშველე ხელი.
ყოველდღე გასცემ სულიერ საზრდოს,
ღმერთკაცად გრაცხავს ბევრი.
შრომობ, აშენებ ყველა კუთხეში,
მამას გიწოდებს ერი.
თქვენ რომ გიყურებთ გული მევსება
სიყვარულით და ვმღერი,
ღმერთია თქვენი გზების მკვლევარი,
ვერას დაგაკლებს მტერი!
მინდა გისურვოთ წელთა სიმრავლე
და სიხარული ბევრი,
დიდხანს იცოცხლეთ ერის ბერმუხავ,
კვლავაც დამოძღვრეთ ერი!

დალი ღაგაშიძე-შენგელია

საახალწლო _ 2016

რა გამარჯვებებს მალავ, ქართველო,
და რას გვპირდები, ახალო წელო?
ველით შენს ბრძანებას, დროო მმართველო,
მარჯით ატარე ეს საქართველო!
აუწონელი გვქონია განძი,
აღურიცხველი გვქონია დარდიც,
საუკუნე სვლა შენამდე მანძილს,
მუდამ აჯობე ეშმაკს და მაცილს...
დე, გადალახე დროის სამანი,
შენ იყავ მუდამ გულის წამალი...
ეს მერამდენედ სულით მაღალით
სხვაგვარად გიმღერს "ჰასანბეგურას".
აქ შავი შაშვი, ჩიტი ფრთამალი,
იქ, ღობე-ყორეს მჯდარი ბეღურა,
ეს მერამდენედ წელი უთოვლო,
არ შევერცხლილა მობრძანდა მხოლოდ.
ზამთრის ნატრული ბუხართან მჯდარი,
შენ გადღეგრძელებ შავი მაჭარით!
მე საქართველოს ყველა ოჯახი,
მინდა დავლოცო ალალი გულით,
კაცი მშრომელი, ცოლი ნაჯაფი,
წვრილშვილიანი, ტრადიციული.
მომნატრებია სიტყვები წრფელი,
მომნატრებია ალერსი მთხვევით,
მე მაპატიე სიტყვა უთქმელი,
მაგრამ ჩემს ლექსში ნაგულისხმევი.
სხვა საუკუნით გამოღვიძებულს,
სხვა დროებაში შეღწევა გელის,
არ დაივიწყო, რომ ხარ ქართველი,
სხვა არაფერი არ გაქვს საშველი,
ვიდრე ახალთან შერწყმული ძველი,
იყავ ლამაზი, იყავ მამაცი,
იყავ კეთილი და ბედნიერი,
ისევ დიდგორთან "ძლევაი" გელის,
ერთიანობა და გული ქველი!..
მომილოცნია ახალი წელი!

მერაბ ჩაჩავა

თვალი შენკენ

თვალი შენსკენ, გული შენსკენ,
სული შენსკენ ლამაზო
გამომექცა, დარდად მექცა,
გული არ გადარაზო.
არც ის მითხრა, რომ სხვას ელი
ვდგავარ სულ სხვა ნაპირზე,
გული გიმხელს მონაწყენი
უცხო მხარეს გახიზნე.
და თუ მაინც გამიწყრება
მთვარე ურჩი თვალებით,
სიხარულის განა წყდება
წყარო ძალდატანებით.
გული ისევ შენთან რჩება,
ვერ ვიტყვით, რომ კეთილი,
ვარდებს ცეცხლი გაუჩნდება
სულში გამოკეტილი.

შენ მაწონებ თავს და მე ვარ დამნაშავე

შენ მაწონებ თავს და მე ვარ დამნაშავე,
გულში რომ მოთავსდა, მანთებს სავსე მთვარე,
ვითარ გაზაფხულის, სურნელოვან ხელში,
ვართ ჩვენ მოქცეული და მზე ჩვენ არ გვერჩის.
მაგრამ, მხურვალება უდაბნოთა ქვიშის,
მზემან დაგვაბედა გულს რომ გადაგვიშლის
და თუ გარიჟრაჟზე გულწრფელობას ვეტრფით,
შებინდების ჟამზე სურვილს ვდევნით კვერთხით!
და ამ მიმოქცევად ხასიათის თმენა,
მწამს გამწყრალი განცდის ხიბლად გამოვლენა,
სად სურვილის ხელში მოქცეული სული
იბრძვის არტახებში ვნებით დაისრული.

დავით ჩირგაძე

ვარსკვლავივით გოგო-ბიჭების ახალი წელი

ნამდვილად ის პატარები არიან, ვარსკვლავივით გოგო-ბიჭები, ხვალ-ზეგ სამშობლოს რომ ასახელებენ, დედიკოებს გაახარებენ, მამიკოების სიამაყე იქნებიან და ბებია-ბაბუების თვალის ჩინი. თოვლის პაპამ მათ საჩუქრები მოუტანა, ლაპლანდიიდან იყო მოსული თუ მაღალი მთის უღრანი ტყიდან ჩამოსული, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, მშვიდობა, ხვავი და ბარაქა შემოიტანა ყველა ოჯახში. იმ ოჯახშიც, პირველი ბაღის სახელით რომ არის ცნობილი სამტრედიაში. ამ საბავშვო ბაღს დიდი ისტორია აქვს. ის მართლაც პირველი სკოლამდელი საბავშვო დაწესებულება იყო სამტრედიის ისტორიაში. პრობლემებზე არ ვსაუბრობთ ახალი წლის მიჯნაზე, ერთს გეტყვით მხოლოდ, საკუთარი შენობა არ აქვს ამ საბავშვო ბაღს. კეთილმა ადამიანმა საკუთარი საცხოვრებელი სახლი დაუთმო. იქ ერთ ჯგუფად არიან 3-დან 6 წლამდე გოგო-ბიჭები.

ამიტომაც გადაწყვიტეს ლამაზი საახალწლო სანახაობა საბავშვო გასართობ ცენტრ "დიგაში" ჩაეტარებიათ. უჩვეულოდ ლამაზი გამოვიდა ღონისძიება. ფიფქია და თოვლის ბაბუა იქვე დახვდათ, პატარებმა თავიანთ საბავშვო ბაღში შესწავლილი სიმღერებით და ლექსებით მოიწონეს თავი. პედაგოგმა ინგა ხელაძემ, მუსიკის მასწავლებელმა ნატო ქვირიამ ბევრი იშრომეს, ყველაფერი კარგად რომ გამოსულიყო. ზღაპრის გმირები ჰყავდათ სტუმრად. მუსიკის პედაგოგი თავადაც კი გამოეწყო ერთ-ერთი საყვარელი ზღაპრის გმირის ტანსაცმელში. მომზადების დროსაც და შემდეგაც, როცა სცენა ნასწავლი სიმღერებით, სხვადასხვა ცეკვებით გაალამაზეს, თვალყურს ადევნებდა მათ მეთოდისტი ნატო ხუჭუა. დღე საჩუქრებმა რომ დააგვირგვინა, დასაწყისშივე გითხარით. საბავშვი ბაღის მმართველი თამუნა ჩაჩუა მადლობას უხდიდა მის პატარა კოლექტივს, თანადგომის, თავდადების და საქმის სიყვარულისთვის. აღსაზრდელებს ჩვეულებისამებრ თბილად ესიტყვებოდა, სიმღერაში ხმას უწყობდა.

ბედნიერი და ღიმილიანი იყო იმ დღეს ყველა. არც ცივი ზამთარი აშინებდა ვინმეს და არც მოძალებული პრობლემები. ამ პატარებისთვის, მთელი ქვეყნისთვის ბედნიერი წელი უნდა დადგეს. სხვანაირად არ შეიძლება, რადგან ქვეყანას კიდევ ბევრი ჰყავს თვალხატულა გოგო-ბიჭი, ისეთები, იმ დღეს ისე რომ მიულოცეს ახალი წელი, როგორც პირველბაღელმა პატარებმა. მათ კი მშვიდობა უნდათ, სიკეთე უნდათ, ხვავი უნდათ და ბოლოს კარგად სწავლა სჭირდებათ, სამშობლოს რომ უპატრონონ.

ვარსკვლავი გაუხსნეს ვარსკვლავივით გოგო-ბიჭებს. აბა, როგორ! ვარსკვლავობა მათ ყველაზე უკეთ ეხერხებათ.

თეა ბაბუნავეილი

სამტრედიელ კალათბურთელთა წარმატება

2015 წლის 18-20 დეკემბერს ქ. სენაკში ჩატარდა აწ გარდაცვლილი კოკა ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი დია ტურნირი 2002-2003 წლებში დაბადებულ კალათბურთელ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სამტრედიის (მწვრთნელი თამაზ ხაფავა), ზუგდიდის, ფოთისა და ხონის კალათბურთელები. სულ 5 გუნდი. შეჯიბრი ჩატარდა წრიული სისტემით და სამტრედიელმა კალათბურთელებმა თანმიმდევრობით, დიდი უპირატესობით დაამარცხეს ზუგდიდის, გუნდი 66 : 33, ფოთის გუნდი 73 : 58, სენაკის გუნდი 74 : 40, ხონის გუნდი 81 : 43 და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი, მეორე ადგილზე ფოთის კალათბურთელები გავიდნენ, ხოლო მესამე ადგილი ზუგდიდის გუნდს ხვდა წილად.

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელის სტატუსი მიენიჭა სამტრედიის გუნდის წევრს, გიორგი ჩაჩუას, მასვე გადაეცა საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც. სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექცია (დირექტორი ივანე კილტავა) მადლობას უხდის მწვრთნელს ტურნირში წარმატებით მონაწილეობისათვის.

რამაზ თელია
კომპლექსური სპორტული სკოლის კოორდინატორი

საშობლო!

ბედმა რამდენჯერ უნდა გაგწიროს,
ჩემო სამშობლოვ მრავალ ნატანჯო,
ყორანმა სისხლი სადამდის გწოვოს,
შენ გმირთა გმირო კლდეს მინაჯაჭვო.
რამდენჯერ უნდა დაბნელდეს ზეცა,
კავკასიონის ცის კიდობანი,
ნუთუ დაგვტოვა გაგვწირა ღმერთმა,
არ მოგვიტევა ქართველთ ცოდვანი.
არა, არ მჯერა, ჩვენთან არს ღმერთი,
ერთი ვკისრულობ მე ყველას ცოდვას,
ოღონდ სამშობლო ეს ერთადერთი,
გადამირჩინე შურსა და ბოღმას.
ჩახუტებული იყოს ძმა ძმასთან,
ცოლ-ქმარი ერთად დაწყვილებული,
მე ჩემი ფეხით მივალ საფლავთან,
ოღონდ შენ გნახო გაბრწყინებული.

სოსო ჩაჩუა

თოვნა ახალ წელს

მეტი ლამაზი დღეები,
მზე სიუხვე და ბარაქა,
წინსვლის ელფერი რომ იგრძნოს
ყველა სოფელმა, ქალაქმა.
გაგვიკაშკაშე ნაძვის ხე _
ტყეების მწვანე სანთელი,
თეთრად აფრქვიე გარემოს
ფიფქების კორიანტელი.
მოწყენილს არვის ვხედავდეთ
უფრო პირბადრნი მთვარეზე,
თავისუფლები, ვით ქარი
უსაზღვრო იალაღებზე.
ყველა განვლილებს აჯობე,
გაჰქრეს ბოღმა და წუხილი,
მარტო ერთსა გთხოვ მუდარით,
საქმედ გვიქციე სურვილი!

ეკური ურუშაძე

NBR
UNION OF NATIONAL BUSINESS RATINGS

შპს სამტრედიის მაცნეს
დირექტორს
ბ.გოგიას

გამ. 100-NY
21.12.2015 წ.

ბატონო ბეჟან!

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი გილოცავთ თქვენ, თქვენს ახლობლებსა და თქვენი საწარმოს მთელს კოლექტივს დამდეგ ახალ 2016 წელს!

ახალი წელი – ნამდვილად თბილი დღესასწაულია! ის გვაერთიანებს ჩვენი ნამდვილი ფასეულობების - შვილების, მშობლების, ახლო ადამიანების სიყვარულის გარშემო. ეს ის დროა, როცა ყველას გვახსენდება გასული წლის ყველაზე მკვეთრი მოვლენები და ახალ წელს სურვილებს ჩავუთქვამთ.

მთელი გულით და სულით გისურვებთ ახალ წელს თქვენი ყველაზე თამამი გეგმების რეალიზაციას, შემოქმედებით წინსვლას, ფინანსურ სტაბილურობას, ასევე თქვენს საქმიანობაში ახალი მწვერვალების დაპყრობას იმისათვის, რომ კვლავ ლიდერად მოგვევლინოთ!

გვჯერა, რომ ყოველივე ამას ერთად მივაღწევთ და მომავალში ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედს ვიტოვებთ!

სადღესასწაულო განწყობას და საუკეთესო საახალწლო საჩუქრებს გისურვებთ თქვენ და თქვენს გუნდს!

საუკეთესო სურვილებით,
ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის
პრეზიდენტი **ვ.ვ. გიუიცკი**

PS: მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ 2016 წლის 27 მაისს ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი აწყობს ეკონომიკის ლიდერების დაჯილდოების XXXI ცერემონიას კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ქ. ბათუმში.

წინასაახალწლო სიახლე: თქვენ გეძლევათ ექსკლუზიური შესაძლებლობა დღესასწაულების დამდეგს მადლიერება გამოხატოთ თქვენი გუნდის მიმართ და დაჯილდოვოთ საწარმოს საუკეთესო თანამშრომლები პერსონალური მედლებითა და სერტიფიკატებით.

ვარსკვლავების მონათხრობით,
წელი გველის არნახული,
აღარავის მოაკლდება
ხელფასი და სამსახური.

ლარი დოლარს დაეწევა,
მომხდურ მტერსაც დავამარცხებთ,
ქართველების "აღმა ხნული"
ჩვენვე დაღმა თუ არ ვფარცხეთ.

მაიმუნის იმედად ვართ,
გაგვიმართლებს უეჭველად,
ბანანებს ტყედ მოვაშენებთ,
ამ წელიწადს თუ გვეშველა!

ჩვენო საყვარელო ლიკა და ბარბარე!

დაბადების დღეს გილოცავთ, იყავით მუდამ ბედნიერები, ჯანმრთელები, ხალისიანები, უფალი გფარავდეთ!

ოჯახი დიდი ლეჯანი

ლიკა და ბარბარე!

გილოცავთ დაბადების დღეს! სულის სიმშვიდე, ჯანმრთელობა და ბედნიერება დაგბედებოდეთ ლამაზ დედაშვილს. გაიხარეთ თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, გელა ლაღაძეს ვულოცავთ ტყუპების შეძენას.

გიორგის და თომას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს!

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია

თამაზ ნიკურაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, სიხარული და ბედნიერება მოეტანოს დამდეგ შობა-ახალ წელს!

უფალი გფარავდეს!

"სამტრედიის მაცნე"

წითელი მაიმუნი მოხტის, ანუ ჰატომ უნდა მოასწროთ დასვენება სანამ 2016 დადგება

რას მოგვიტანს ანცი და ეშმაკი მაიმუნი 2016 წელს?

გამომდინარე იქედან, რომ დამდეგი 2016 წელი წითელი, თანაც ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადია და ე. წ. "მთვარის კარმულმა კვანძებმა" სულ ცოტა ხნის წინ გადაინაცვლა სასწორი-ვერძის ღერძიდან, ქალწული-თევზების ღერძზეე, მომავალი წელიწადი ზოდიაქოს ნებისმიერი ნიშნის წარმომადგენლისთვის პირველ რიგში ჯანმრთელობის თემებს წამოსწევს წინ. მაიმუნმა შესაძლოა, ზოგიერთ თქვენთაგანთან "ბოროტი ხუმრობაც" გაითამაშოს და ცოტა შეგაშინოთ კიდეც არასასიამოვნო დიაგნოზით. თუმცა, ნუ იჩქარებთ დანაღვლიანებას, იმიტომ მაიმუნის წელიწადში ყოველგვარ მოულოდნელობას ექნება ადგილი. მათ შორის მცდარ დიაგნოზებსა და საოცარ გამოჯანმრთელების პრეცედენტებსაც.

ეს წელი ძირითადად ისეთ ადამიანებს მისცემს წინსვლის შანსებს, ვინც საკუთარ ცხოვრებას გონივრული რისკის კალაპოტში აგებს. დაგეგმილ-გაწერილი გეგმები გახსოვდეთ, რომ მარტივად აგერევათ. მაიმუნი ხომ მზაკვარი და მასხარაა ყველაფერთან ერთად. სამაგიეროდ, იგი კრეატიულ, ოპორტუნისტული სულის მქონე და აზარტულ ინდივიდებს სწყალობს. ამიტომ დამდეგი 2016 წელი გონივრული რისკისთვის და ცხოვრების საინტერესო მოვლენებით გამრავალფეროვნებისთვის უნდა გამოიყენოთ.

ეს ის წელია, როცა ძალიან ბევრი ადამიანის ფინანსური მდგომარეობა შეიცვლება უკეთესობისაკენ, თუკი ჩვენ ზემოხსენებული რისკი და ფინანსური ალღო არ გვიმტყუნებს. განსაკუთრებით გაუმართლებთ მსუბუქ მრეწველობაში, კერძოდ ბიზნესში, სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს; კომერციულ და საბანკო სტრუქტურაში მომუშავე ინდივიდებს და ყველას, ვისაც გამჭრიახი გონება, მაძიებელი სული და კრეატიული აზროვნება გააჩნია.

მაიმუნი პირად ურთიერთობებში ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გვპირდება. დათბება და გააქტიურდება ურთიერთობები, არა მხოლოდ მტრულად განწყობილ "ყოფილებს" შორის, მაიმუნი დადებითად იმოქმედებს ჩვენს ურთიერთობაზე ნათესავებთან და მეგობრებთან. შესაძლებელია, ამ წელს ბევრმა ადამიანმა აღადგინოს წლების წინ გაწყვეტილი კავშირები ოჯახთან ან ძველ მეგობრებთან.

მაიმუნი სიახლეებისა და ცვლილებების მოყვარული ვინმეა, ამიტომ დამდეგი წელიწადი ყველას ჰპირდება წინსვლას, ვისაც ცვლილებების არ ეშინია და ცდილობს, ცნობიერების ფარგლები მაქსიმალურად გაიფართოვოს. იქნება ეს სწავლა, მოგზაურობა თუ ახალი კონტაქტების შეძენა. ეს კარგი წელია ცეცხლის სტიქიის წარმომადგენლებისთვის _ ვერძების, ლომებისა და მშვილდოსნებისთვის. თუმცა, როგორც ასტროლოგები თვლიან, განსაკუთრებით წარმატებული წელიწადი წინ ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს ელოდებათ.

იჯიდება
მეწველი ძროხა ნამატით.
ტელეფონი: 790 81 63 01. დარეკეთ საღამოს საათებში



დაგვიანებული მილოცვა
დიანა ნიკოლეიშვილს!

სიტყვები დაგვიგვიანდა, თორემ, ჩვენი კეთილი სურვილები და სიყვარული მთელი წელი გაგყვება. მერე კი, უფლის შეწევნით კიდევ ბევრს გისურვებთ აღმაფრენით, სიხარულით სავალ გზაზე. გაიხარე ერთადერთი შვილის ბედნიერებით, იამაყე ღირსეული ქალობით, გიერთგულონ და უერთგულე მეგობრებს, კეთილისმსურველებს.

ჩვენ კი, მთელი "სამტრედიის მაცნე", ისევ გეიმედებოდეთ თუნდაც დაგვიანებული მოლოცვით!

მაკა ღლიჟეს!

ჩვენო საყვარელო, ერთგულო მეგობარო, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე და გამრავლდი, ოჯახური, ქალური ბედნიერება არ მოგკლებოდეს. ბედნიერ დედას მუდამ თავაწეულს გეკლოს. მეგობრებს დიდხანს გვიერთგულე შენეული სითბოთი და ყურადღებით. შენ ჩვენი კლასის შემკრები, გამაერთიანებელი ხარ სკოლის მერხთან განშორების 25 წლის შემდეგაც კი. ძალიან გვიყვარხარ მაკა! დიდხანს გვეყოლე და დიდხანს ვიყოთ ერთად ამგვარი ერთიანობით!

თანაკლასელები

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა